გაზეთი ბოლოვან. „ვერსიან" ერთი

ვერსია

№6 (1548) 10 — 16 მარტი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ქართული უოტერგეიტის დიდი საიდუმლო

ვინ და რატომ იწერს ადამიანების პირად ცხოვრებას – ფარული ჩანაწერების 30-წლიანი ქრონიკა

სექტანტების რიტუალური მკვლელობა

ვინ არის მამაკაცი, რომელიც ადამიანებს ცეცხლით გაწმენდას აიძულებს

დიდი კორუფციული სქემა, რომელიც საშინელი ტრაგედიით დასრულდა

ვინ მოკლა ცოლ-ქმარი და ცოლის საყვარელი

რა საკითხზე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ოპოზიციაში

ვინ აპირებს პარლამენტში შესვლას და ვინ არა – ლიდერების პასუხი ყველაზე აქტუალურ კითხვაზე

სკანდალი: მედიკამენტების მაფია – ვინ მფარველობს „ფეიკწამლების" ბიზნესს

„არ ვუწოდებ მათ ჩემს კოლეგებს, ისინი შარლატანები არიან!"

ჯონდი ბაღათურია: „ოცნება" პარლამენტში კიდევ ორ პარტიას ელოდება, რომელსაც თავად აფინანსებდა!"

„დასავლეთი არ მოითხოვს, რომ მაინცდამაინც მიხეილ სააკაშვილსა და გიგა ბოკერიას დაელაპარაკოს"

სახელმწიფომ მცირე და საშუალო ბიზნესს ახალი რეგულაციები დაუწესა!

რას ნიშნავს და როგორ უნდა აწარმოოთ ე.წ. ტაბელის ცხრილი და რას ითხოვს მაღაზიების ასოციაცია შრომის ინსპექციისგან

სერიული მკვლელობები მტკვრის სანაპიროზე

ქრთამი მოსამართლეს ბოშების ბარონისგან

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა, გატარებული საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დოკუმენტის გაყალბების, ორგანიზებული ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თაღლითობისა და თაღლითობის მცდელობის ბრალდებით, ორგანიზებული ჯგუფის ხუთი წევრი დააკავეს. დაკავებულთა შორის, ერთ-ერთი, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელია.

დანაშაული 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, ყალბი დოკუმენტაციის გამოყენებით, ერთ-ერთი მოქალაქის დეპოზიტზე არსებული თანხის თაღლითურად დაუფლებას ცდილობდნენ.

დოკუმენტის გაყალბების, დიდი ოდენობით ორგანიზებული ჯგუფის მიერ თაღლითობისა და თაღლითობის მცდელობის ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე, 180-ე და 19-180-ე მუხლებით მიმდინარეობს.

პოლიციამ გორში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისის დაზიანების ფაქტზე, ოთხი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, გორში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისის დაზიანების ფაქტზე, კიდევ ერთი პირი – 1994 წელს დაბადებული თ.მ. დააკავეს. მას ბრალი სხვისი ნივთის დაზიანებაში ედება.

დანაშაული 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, სამ თანამზრახველთან ერთად, გორში, პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის მინები დააზიანა.

აღნიშნულ საქმეზე, სამართალდამცველებმა 1994 წელს დაბადებული გ.კ., 1996 წელს დაბადებული გ.ბ. და 1996 წელს დაბადებული თ.ა., საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში მომხდარი მკვლელობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული ზ.ს., განზრახ მკვლელობის, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 11-დან 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, წარსულში არსებული უთანხმოების გამო მომხდარი ურთიერთშელაპარაკებისას, ორი პირი – 2001 წელს დაბადებული შ.ქ. და 1988 წელს დაბადებული თ.გ., ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა.

მიყენებული ჭრილობების შედეგად, შ.ქ., ინგოროყვას სახელობის კლინიკაში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა, თ.გ. კი ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში მკურნალობს და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიიდან, ნივთმტკიცებად ამოიღეს.

განზრახ მკვლელობის, დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 19-109-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

გიორგი შაქარაშვილის საქმესთან დაკავშირებით, სამ პირს 16 წლით პატიმრობა მიესაჯა

მცხეთის რაიონულ სასამართლოში, მოსამართლემ ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის საქმეზე განაჩენი გამოაცხადა. მან სამი პირი – არჩილ გაგნიძე, ნიკოლოზ რევაზიშვილი და ვახტანგ ჩიქოვანი დამნაშავედ სცნო და 16-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. არასრულწლოვანების განაჩენს მალევე, 14 მარტს გამოაცხადებენ.

განაჩენის გამოცხადებას, სასამართლოსთან ხმაური და დაპირისპირება მოჰყვა. ერთი-ერთმა ბრალდებულმა, არჩილ გაგნიძემ პროკურორებს მიმართა და უთხრა, რომ მათ მოუწევთ განსასჯელის სკამზე ყოფნა.

მოგვიანებით, არჩილ გაგნიძე დარბაზიდან გაიყვანეს.

„ჰოთნიუსი“

კელი დეგნანი ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში, კელი დეგნანს შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე განიხილეს საქართველო-აშშ-ის ორმხრივი თანამშრომლობის დღის წესრიგში არსებული საკითხების ფართო სპექტრი.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ აშშ-ი, საქართველოს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორია და ხელისუფლება აფასებს ოფიციალური ვაშინგტონის მტკიცე მხარდაჭერას არაერთ მიმართულებით, მათ შორის, როგორც ქვეყანაში რეფორმების განხორციელების, ასევე, COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების დაძლევის პროცესში. ირაკლი ღარიბაშვილმა, საუბრისას, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი აშშ-ის, როგორც ძლიერი სტრატეგიული პარტნიორის შემდგომი მხარდაჭერის მნიშვნელობას, რათა ქვეყანამ უახლოეს პერიოდში მიიღოს ვაქცინის საჭირო რაოდენობა და დაიწყოს მოსახლეობის ვაქცინაცია.

პრემიერ-მინისტრმა და ელჩმა, ასევე, ისაუბრეს ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე. აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია, მსოფლიოსა და რეგიონში არსებული გამოწვევების ფონზე, მხარეებმა მიმართონ ძალისხმევა, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების კონსტრუქციულ, დიალოგის რეჟიმში წარსამართად.

შეხვედრისას, ასევე, ყურადღება დაეთმო რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებულ ვითარებას და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ მძიმე მდგომარეობას. ამერიკელმა დიპლომატმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი აშშ-ის მტკიცე მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაუდასტურა.

„ძალიან პროდუქტიული შეხვედრა გვქონდა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან. შეერთებულ შტატებსა და საქართველოს ყოველისმომცველი დღის წესრიგი გააჩნიათ და ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ამ ინიციატივებზე მუშაობა გაგრძელდეს ახალი პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით.

გვსურს, პოლიტიკური კრიზისი სწრაფად განიმუხტოს, რათა საქართველო დაუბრუნდეს მის წინაშე მდგარ სხვა მნიშვნელოვან გამოწვევებს, მათ შორის, ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენას.

შეერთებული შტატები გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას, რათა ქვეყანამ შეძლოს ეკონომიკის ამოქმედება, ახალი კორონავირუსის პანდემიაზე რეაგირება და, რა თქმა უნდა, უსაფრთხოების ძლიერ ნიშნულზე შენარჩუნება.

კიდევ ერთხელ დავადასტურეთ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ ძლიერი მხარდაჭერა“, – განაცხადა კელი დეგნანმა, პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ.

„ჰოთნიუსი“

ქართული უოტერგეიტის დიდი საიდუმლო

ნინო დოლიძე

ვინ და რატომ იწერს ადამიანების პირად ცხოვრებას – ფარული ჩანაწერების 30-წლიანი ქრონიკა

საქართველოში ისევ ფარული ჩანაწერების სკანდალია. ისევ-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ბოლო წლებია, მსგავსი სკანდალის მომსწრეები არაერთხელ გავხდით. საერთოდ, თუ ბოლომდე გულწრფელები ვიქნებით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ფარული ჩანაწერების სკანდალები სათავეს აშშ-დან, ესე იგი, იმ ქვეყნიდან იღებს, რომელი ქვეყანაც თანამედროვე დემოკრატიის სამშობლოდ ითვლება. კერძოდ, ლაპარაკია 1974 წლის მოვლენებზე, რომელიც აშშ-სა და შესაბამისად, მსოფლიოს უახლეს ისტორიაში, უოტერგეიტის სკანდალის სახელით შევიდა. სიმართლე გითხრათ, დღეს, ამ თემაზე საუბარს არ ვაპირებდი, მაგრამ რაკიღა სიტყვამ მოიტანა, მოდით, მაინც გავიხსენოთ, თუ რა იყო და როგორ დაიწყო უოტერგეიტის სკანდალი:

1972 წლის 17 ივნისს, უოტერგეიტის საოფისე კომპლექსში ანუ დემოკრატიული ეროვნული კომიტეტის შტაბ-ბინაში შეჭრისთვის, ხუთ ადამიანს აპატიმრებენ. ჯერ ფედერალური საგამოძიებო ბიუროს მიერ წარმოებული გამოძიებით, მოგვიანებით კი, სენატის უოტერგეიტის კომიტეტის, თემთა პალატის იურიდიული კომიტეტისა და პრესის მხილებით, დადგინდება, რომ ეს შეჭრა მრავალრიცხოვან არალეგალურ საქმიანობათაგან ერთ-ერთი იყო და ყველაფერი ეს, ნიქსონის შტატის თანამშრომლების მიერ იყო ნებადართულ-წარმოებული. გამოძიებით, ასევე, გამოაშკარავდა დანაშაულისა და კანონდარღვევის უამრავი შემთხვევა, რომელიც მოიცავდა საარჩევნო კამპანიის დარღვევებს, პოლიტიკურ შპიონაჟსა და საბოტაჟს, არალეგალურ შეჭრებს, გაუმართლებელ საგადასახადო აუდიტებს, არალეგალურ მოსმენებს მასშტაბურ დონეზე და ასევე, საიდუმლო ფარულ საბანკო ანგარიშს მექსიკაში, რაც მსგავსი ოპერაციების ჩამტარებელთა ანაზღაურებისთვის იყო განკუთვნილი.

ამასთან, ეს საიდუმლო ფონდი გამოიყენებოდა იმ შვიდი ადამიანის გასაჩუმებლად, რომლებიც 17 ივნისის შეჭრისთვის იყვნენ დაკავებულნი.

ნელ-ნელა ისიც გაირკვა, რომ ნიქსონს ხმის ჩამწერი სისტემა ჰქონდა საკუთარ ოფისში – თეთრ სახლში, რომელზეც მრავალი საუბარი ჰქონდა დაფიქსირებული. ამ ფირების ჩანაწერებიდან გამოაშკარავდა, რომ მას პირადად მიუძღოდა ბრალი მართლმსაჯულებისთვის სიმართლის დამალვაში, კერძოდ, ამ შეჭრასთან დაკავშირებულ გარემოებებში. ეს ჩანაწერი მოგვიანებით ცნობილი გახდა, როგორც „კვამლიანი თოფი“. სასამართლო გარჩევების სერიის ბოლოს, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ საქმეში – „აშშ ნიქსონის წინააღმდეგ“, ერთხმად უყარა კენჭი გადაწყვეტილებას პრეზიდენტის მიერ ჩანაწერების გადაცემაზე და ნიქსონი იძულებული გახდა, ისინი გამოეაშკარავებინა.

თემთა პალატაში უეჭველი იმპიჩმენტის, ხოლო სენატში – დატუსაღების შესაძლებლობის წინაშე დამდგარი ნიქსონი, ათ დღეში გადადგა, რითაც აშშ-ის პირველი და ერთადერთი პრეზიდენტი გახდა, რომელიც ამ პოსტიდან ვადამდე გადადგა.

ვერ ვიტყვით, რომ უოტერგეიტის მოვლენების შემდეგ, აშშ-ში, არავინ არავის უსმენს, მაგრამ ნიქსონის გარდა, ერთი ამერიკელი, მაღალი თანამდებობის პირიც არ ვიცით, რომელიც ამის გამო, „პენსიაზე გასულიყო“.

რაც შეეხება ქართულ „უოტერგეიტებს“, ყველაფერი ჯერ კიდევ შორულ 90-იან წლებში დაიწყო. კერძოდ, აწ განსვენებულმა ჟურნალისტმა, ნოდარ გრიგალაშვილმა, საქართველოს უშიშროების მაშინდელი ხელმძღვანელი, შოთა კვირაია იმაში ამხილა, რომ ადამიანებს უკანონოდ უსმენდა. ცხადია, იმ დროს ტექნიკა იმის საშუალებას არ იძლეოდა, რომ მოსმენა ზეფარულად განხორციელებულიყო, თუმცა სპეცსამსახურებს მაშინაც შეეძლოთ, ადამიანისთვის ისე ეთვალთვალათ, ობიექტს ვერაფერი გაეგო.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჟურნალისტის ბრალდება იმდენად „მსუყე“ იყო, მით უმეტეს, პოსტსაბჭოთა საქართველოსთვის, რომ კვირაია, რომელიც შევარდნაძის კარზე ერთ-ერთ, ყველაზე გავლენიან „ტიპად“ ითვლებოდა, იძლებული გახდა, გავლენებზე უარი ეთქვა და შინაც წასულიყო.

ამის შემდეგ, ალბათ, აღარავინ ელოდა, რომ მდინარეში მეორედ შევიდოდით და ფარული ჩანაწერების სკანდალი ხელახლა აგორდებოდა, მაგრამ ხომ იცით, პოლიტიკაში ყველაფერი „მოსულა“. ჰოდა, დადგა 1999 წელი, როცა ქვეყანაში, მორიგი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარებულიყო. მაშინაც, დღევანდელის მსგავსად, ქართული პოლიტიკა ორპოლუსიანი იყო – ერთმანეთს ედუარდ შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირი და ასლან აბაშიძის აღორძინება კორტნიდნენ. უფრო კონკრეტულად, აბაშიძე, განსაკუთრებით ახალგაზრდა „მოქალაქეებს“, ესე იგი, სააკაშვილ-ჟვანიასა და მათ მეგობრებს ერჩოდა.

იმხანად, მოგეხსენებათ, სოციალურ ქსელებზე წარმოდგენაც არ გვქონდა, მაგრამ სამაგიეროდ, ძალიან კარგად მუშაობდა ე.წ. ჭორის ინსტიტუტი. შესაბამისად, ქალაქში ხმა გავარდა, რაღაც ვიდეო არსებობს, რომლის მთავარი ფიგურანტიც ზურაბ ჟვანიაა. მაშინ ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარე იყო და ყველა დაინტერესდა, ნეტავ, რა ვიდეოაო. ჰოდა, ეს „კასეტა“ „დახლს ქვეშ“, ღამის, მთელმა თბილისმა ნახა.

იმ ფარულ ჩანაწერებთან შედარებით, რაც ბოლო წლებში ვნახეთ და მოვისმინეთ, ზემოხსენებული „პრისტავკის ჩანაწერი“ მოსატანიც არაა, მაგრამ მაშინ, თუნდაც ერთი ფრაზა – „ჩემი კუტუნია ბიჭები“, ძალიან სენსაციურად ითვლებოდა.

უარესი შოკი კი, თურმე, წინ გველოდა – ვაკის არჩევნების წინ, ასევე, „დახლს ქვეშ“ გავრცელდა ვიდეო, რომელზეც მამაკაცი, უფრო სწორად, მამაკაცის სილუეტი იყო აღბეჭდილი და, რბილად რომ ვთქვათ, საკუთარ სხეულსა და სხეულის უხერხულ ადგილებს ეფერებოდა. აი, სააკაშვილიაო, – ატყდა გნიასი და ისიც ითქვა, რომ „კუტუნია ბიჭებისა“ და „უხერხული ადგილის მოფერების“ ვიდეოც ასლანის კარიდან გასაჯაროვდაო.

ვერ გეტყვით, მართლა ასე იყო თუ არა, მაგრამ ერთის თქმა დანამდვილებით შეიძლება: არც ერთ და არც მეორე ვიდეოზე, გამოძიებას ვინ ჩივის, საქმეც კი არ აღძრულა.

სამაგიეროდ, საქმე ყველა იმ ფარულ ჩანაწერზე აღიძრა, რომელიც 2012 წლის შემდეგ, ღამის, ბითუმად ვრცელდება. აქვე, იმასაც ვიტყვით, რომ ბოლო წლებში გავრცელებული, თითქმის ყველა ფარული ჩანაწერი პირადი ცხოვრების ამსახველია.

ახლა, იმაზე საუბარს არ დავიწყებთ, ვინ იღებდა და იღებს ამა თუ იმ ადამიანის პირად ცხოვრებას. ამთავითვე შევთანხმდეთ, რომ პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია და თუნდაც პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის გამოყენება, მხოლოდ იურიდიული კი არა, უდიდესი მორალური და ფსიქოლოგიური დანაშაულიცაა. მეტიც, ასეთი კადრების საჯაროდ გამოდება, ჩვეულებრივი ტერაქტია – ადამიანი, რომელიც ასეთი შეტევის ობიექტი ხდება, შესაძლოა, მოკვდეს, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

ინგა გრიგოლია, თინა ხიდაშელი, ეკა ბესელია, გიორგი ფარესაშვილი – ეს იმ ადამიანების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც ბოლო წლებში, ფარული კადრების მსხვერპლნი გახდნენ.

საერთოდ, დიდი ხანია, ხმა დადის, რომ საქართველოში მხოლოდ რიგით ადამიანებს კი არა, არამედ, უმაღლესი თანამდებობის პირებს, მათი ოჯახის წევრებსა და ახლობლებსაც უსმენენ. ამის დასტურია 6 მარტს, „ტვ პირველის“ მიერ გავრცელებული ფარული სატელეფონო ჩანაწერი, რომლის ფიგურანტებიც მოქმედი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი, სპეციალური დაცვის სახელმწიფო სამსახურის ხელძღვანელი და ბიძინა ივანიშილის შვილი არიან.

ცალკე საუბრის თემაა, ეს ჩანაწერი ავთენტურია თუ არა, თუმცა როგორც მმართველი გუნდი ამბობს, ეს ჩანაწერი 2010 წელს, ესე იგი, „ნაციონალების“ მმართველობის დროს, უკანონოდ მოპოვებული ათეულობით პირადი საუბრის კომპილაციაა.

სხვათა შორის, ბოლო ფარულ სკანდალზე, პროკურატურამ საქმე 9 მარტს აღძრა.

„საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, საჯაროდ გავრცელებული ფარული ჩანაწერების საფუძველზე, გამოძიება დაიწყო კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერის ან/და მიყურადების, ასევე, კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის უკანონოდ გამოყენებისა და გავრცელების ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ჩატარდება ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება ჩანაწერის მოპოვებისა და გავრცელების კანონიერების დასადგენად. გავრცელებული ჩანაწერების ავთენტურობის დადგენის მიზნით, დაინიშნება შესაბამისი ექსპერტიზები“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

როგორი ბოლო ექნება ახალი ფარული ჩანაწერების სკანდალს? – ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ ქართული ჩანაწერების ანატომია გვკარნახობს ლოგიკას, რომ შედეგი, შესაძლოა, ვერც ამჯერად დადგეს ანუ ვერც ის დადგინდეს, ვისი ინიციატივით ხდებოდა და ხდება ადამიანების მოსმენა-თვალთვალი და ვერც ის გავიგოთ, თუ ვინაა უშუალო მომსმენ-მოთვალთვალე.

სწორედ ამიტომ, ისღა დაგვრჩენია, სიფრთხილე გამოვიჩინოთ და ტელეფონსა თუ ონლაინში ისეთი არაფერი ვთქვათ და დავპოსტოთ, რის გამოც, ადრე თუ გვიან, შესაძლოა, ფსიქოლოგიური ტერაქტი მოგვიწყონ!

თათია გოჩაძე
598-43-50-34

სკანდალი: მედიკამენტების მაფია – ვინ მფარველობს „ფეიკწამლების“ ბიზნესს

„არ ვუწოდებ მათ ჩემს კოლეგებს, ისინი შარლატანები არიან!“

ცნობილი ექიმი, დერმატოლოგი ზაზა თელია, სოციალურ ქსელში, პერიოდულად აქვეყნებს მედიკამენტების დასახელებებს, რომელთაც, მისი მტკიცებით, სამეცნიერო დასკვნა არ აქვთ. ეს ნიშნავს, რომ აფთიაქებში იყიდება ე.წ. ფეიკწამლები, რომლებსაც მეცნიერულად დადასტურებული მტკიცებულება არ ახლავთ და გამოდის, რომ რაში ვიხდით ფულს ან რა მედიკამენტს ვსვამთ ამა თუ იმ დიაგნოზის დროს, ბუნდოვანია. არადა, საქმე ყველაზე მნიშვნელოვანს – ადამიანის ჯანმრთელობას ეხება. ზაზა თელია განგაშს სწორედ იმიტომ ტეხს, რომ საქართველოში, ეს შარლატანიზმი მალე დასრულდეს. „ვერსია“ ზაზა თელიას ესაუბრა:

– ბევრია ასეთი მედიკამენტი, ქართული ბაზარი „ფეიკწამლებითაა“ გაჯერებული და სამწუხაროდ, ამის რეგულაცია არ არსებობს. ესენია პრეპარატები და დანამატები, რომლებზეც სამეცნიერო მტკიცებულება არაა ანუ კონკრეტულ დაავადებაზე მუშაობს თუ არა რაიმე მედიკამენტი, ამის დამადასტურებელი სამეცნიერო მტკიცებულება არ არსებობს, მაგრამ მაინც იყიდება აფთიაქში და პაციენტები ტყუვდებიან. ძალიან დიდი სიაა ასეთი „პრეპარატების“, მაგალითად, პოლიცისტურ საკვერცხის სინდრომზე რომ ინიშნება და მოქმედებს „ინოზიტოლი“, ამის სამეცნიერო მტკიცებულება არ არსებობს. შესაბამისად, ამ დანამატის გამოყენება აღნიშნული დიაგნოზის დროს, რა თქმა უნდა, გაუმართლებელია, არ გააჩნია სამეცნიერო მტკიცებულება და ეს არის პაციენტის მოტყუება.

– თქვენი ინფორმაციით, ექიმები განგებ ნიშნავენ ასეთ „ფეიკწამლებს“?

– ორი საგანგაშო უკიდურესობაა – რა თქმა უნდა, აქ არის ფარმაკოლოგიური, ფინანსური დაინტერესება ექიმის მხრიდან, ან საქმე გვაქვს განათლების დეფიციტთან, სამედიცინო განათლების არქონასთან. თუ ფინანსური დაინტერესება არ აქვს ექიმს და ასეთ „ფეიკწამალს“ ნიშნავს, ე.ი. მას სჯერა, რომ ეს წამალი ეფექტურია, რაც ნიშნავს, რომ განათლება არ აქვს. არ ვუწოდებ მათ ჩემს კოლეგებს, ისინი არიან შარლატანები იმიტომ, რომ ძალიან შორს დგანან მედიცინისგან. აქ საუბარი არაა ზაზა თელიას, ზურაბ გურულის, გიორგი კანდელაკის, ან სხვა რომელიმე ექიმის მოსაზრებაზე, მედიცინაში რომელიმე ექიმის ან პაციენტის პირადი შედეგი კი არა, ყველაფერს სამეცნიერო მტკიცებულება განსაზღვრავს, რომელშიც ყველა ექიმი უნდა ერ-

კვეოდეს. განვითარებულ ქვეყნებში ვალდებულებაა, რომ ექიმი ამაში ერკვეოდეს, ჩვენთან კი ყველაფერი უკუღმაა. ექიმების დიდი უმრავლესობა ვერ ერკვევა ამ საკითხში.

– ბატონო ზაზა, მომხმარებლებმა როგორ უნდა გავარკვიოთ, „ფეიკწამალს“ ვყიდულობთ თუ არა?

– ერთ-ერთი ასეთი თავდაცვის მექანიზმი შემდეგია – ნებისმიერ პოტენციურ დაავადებაზე წამლის დამოწმება ხდება სხვადასხვა სამედიცინო ორგანიზაციის მხრიდან. მაგალითად, აშშ-ში, კონკრეტულ დაავადებაზე წამლის დამოწმებას ახდენს FDA ანუ აშშ-ის წამლისა და საკვების ადმინისტრაცია. თუ რომელიმე წამალს ან დანამატს FDA-ს დამოწმება არ აქვს, პაციენტი უნდა მიხვდეს, რომ „ფეიკწამალია“ და მეცნიერულად დამოწმებული არაა. ასეთივე ორგანიზაციაა ევროპაში EMA ანუ ევროპის მედიკამენტების სააგენტო, რომელიც ასევე ამოწმებს მედიკამენტს.

– საქართველოში წარმოებულ წამალს ეს ევროპული ორგანიზაცია არ ამოწმებს?

– საქართველოში შექმნილ არც ერთ ფარმაკოლოგიურ მედიკამენტს, თუ ქიმიურ ნივთიერებას, რა თქმა უნდა, არ გააჩნია არც ერთი ამ ორგანიზაციის დამოწმება. ეს არის ნონსენსი. ვერც ექნება იმიტომ, რომ საქართველო, მეცნიერული თვალსაზრისით, არაა ის ქვეყანა, რომელმაც შეიძლება აწარმოოს ნოუ-ჰაუ, ახალი პრეპარატი. არ ვგულისხმობ ისეთ მედიკამენტებს, რომლის პატენტირება უკვე მოხდა. მაგალითად, გვაქვს ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდი „იბუპროფენი“ და შეიძლება ნებისმიერმა ფარმაცევტულმა კომპანიამ გამოუშვას და დაარქვას თავისი სახელი. საქართველოში ასეთ მედიკამენტებს, გულის წამლებს და ასე შემდეგ, რა თქმა უნდა, აწარმოებენ. ამაზე კი არა, საუბარი მაქვს ისეთ მედიკამენტებზე, რომლებზეც საქართველოში ირწმუნებიან, რომ ეს არის ერთადერთი ეფექტური საშუალება, ახალი ფორმულა კონკრეტული დაავადების სამკურნალოდ, ასეთი რამ კი არ არსებობს, რა თქმა უნდა.

– კი, მაგრამ საქართველოში, ჯანდაცვის სამინისტრო მედიკამენტებს არ აკონტროლებს?

– არსებობს ჯანდაცვის სამინისტროს წამლისა და ლიცენზირების რეგულაციის სტრუქტურა, მაგრამ ისეთ რაღაცებზე აქვს დამოწმება გაცემული, რომ მართლაც, სამარცხვინოა. „ფეისბუქში“ ვწერ ხოლმე ასეთ მედიკამენტებზე, რომლებმაც უცებ მიიღეს „ქართული დამოწმება“. ბევრი საკვები დანამატი საქართველოში რეგისტრირებულია მედიკამენტად, რაც არასწორია.

როდესაც ამ საკითხზე სოციალურ ქსელში საუბარი დავიწყე, თავდასხმის ობიექტი გავხდი. ეს ან ფარმაცევტული კომპანიების მიერ მოხდა იმიტომ, რომ ვისგანაც შეურაცხყოფები წამოვიდა, ყველას „ექაუნთი“ ე.წ. ტროლი და ბოტი იყო, ან ეს მოხდა ჩემი ე.წ. კოლეგების მხრიდან, რომლებიც ამ მედიკამენტებით მუშაობენ.

– იმედი ვიქონიოთ, რომ ეს განგაშის ზარი იმ უწყებისთვის იქნება ყურადსაღები, ვინც ეს საკითხი მკაცრად უნდა გააკონტროლოს...

– დიახ, ეს საკითხი ყველა იმ ადამიანმა იცის, ვინც სამეცნიერო მტკიცებულებებში ერკვევა. შესაბამისად, ამაზე თვალის დახუჭვა წყლის ნაყვაა, ოდესმე უნდა მოგვარდეს ეს ამბავი, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ეს შარლატანიზმია.

– დიახ, ადამიანის ჯანმრთელობაზე ანუ ყველაზე მნიშვნელოვანზეა საუბარი.

– რა თქმა უნდა და ასევე, მნიშვნელოვანია ფინანსური საკითხიც. საქართველო ძალიან ღარიბი ქვეყანაა და წარმოიდგინეთ, ადამიანები ასეთ „ფეიკწამლებში“ ყრიან ფულს. აქ სხვა ფაქტორებიცაა, ვთქვათ, ჰიპერდიაგნოსტიკა, რომლის ბევრი მაგალითი არსებობს და ამაში კარგად ვერკვევი იმიტომ, რომ 8 წლის განმავლობაში, რამდენიმე სადაზღვევო კომპანიის სამედიცინო ექსპერტი ვიყავი და ჩემს ხელში გაიარა ბევრმა სამედიცინო დოკუმენტაციამ. ყველა დარგში კატასტროფა ხდება არა მარტო მედიკამენტებისა და დანიშნულებების მხრივ, არამედ, დიაგნოსტიკის მხრივაც. არაფერში საჭირო, ჰიპერდიაგნოსტიკაში ახარჯვინებენ ფულს ადამიანებს.

აქვე, მინდა დავამატო, რომ კატასტროფა ხდება ამ პანდემიის პირობებში, თუ დაინტერესდებით და სტატისტიკას ამოიღებთ, საქართველოში მდებარე კლინიკების მაჩვენებელს, ვისაც აქვს კომპიუტერული ტომოგრაფიის აპარატი, ნახავთ, დღეში რამდენი კომპიუტერული ტომოგრაფია კეთდება, პანდემიის პირობებში. ერთ პაციენტს, ერთი თვის განმავლობაში, 4-5 კომპიუტერულ ტომოგრაფიას უკეთებენ, რაც 100 წლის დასხივებას უდრის. ეს არის უდიდესი რისკი სიმსივნის განვითარებისა და ამ პაციენტს, დიდი ალბათობით, განუვითარდება სიმსივნე. ეს ყველაფერი კი უკონტროლოა.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რა საკითხზე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ოპოზიციაში

ვინ აპირებს პარლამენტში შესვლას და ვინ არა – ლიდერების პასუხი ყველაზე აქტუალურ კითხვაზე

15 მარტი ანუ ის თარიღი ახლოვდება, როცა ნათელი გახდება, თანხმდება თუ არა, ე.წ. მიშელის 6-პუნქტიან გეგმაზე, ხელისუფლება და ოპოზიცია. ოპოზიციონერები აცხადებენ, რომ მმართველ ძალასთან მოლაპარაკების საკვანძო საკითხები პოლიტპატიმრების გათავისუფლება და რიგგარეშე არჩევნებია. ამასობაში კი სტრატეგია აღმაშენებლის ლიდერი, გიორგი ვაშაძე აცხადებს, ვიხილავთ საკითხს, რომ შეთანხმების შემდგომ, შეიძლება, შევიდეთ პარლამენტში, რადგან საკონსტიტუციო ცვლილებებიც მისაღებია და ამას ჩვენი მონაწილეობა და მხარდაჭერაც სჭირდებაო. მისივე თქმით, პარლამენტში შესვლის გარეშე, ვერ განხორციელდება ისეთი ფუნდამენტური საკონსტიტუციო ცვლილება, როგორიცაა, მაგალითად, სრულად პროპორციული სისტემა, ბარიერის დაწევა და ა.შ. „ვერსია“ დაინტერესდა, რა პოზიცია აქვთ აღნიშნულ საკითხზე სხვა ოპოზიციურ პარტიებს.

პარტია „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი, საბა ბუაძე გვიდასტურებს, რომ ხელისუფლებასთან შეთანხმების შემთხვევაში, „ლელო“ საპარლამენტო ცხოვრებას შეუერთდება:

„პოლიტიკური დევნის დასრულება და ახალ არჩევნებთან დაკავშირებით, ხელისუფლებასთან შეთანხმების მიღწევა, ოპოზიციური ერთობის ფუნდამენტი და საკვანძო საკითხებია“.

განიხილავს თუ არა ოპოზიცია პლებისციტს ხელისუფლებასთან მოლაპარაკების ერთ-ერთ საკითხად? – ამ კითხვაზე, საბა ბუაძე გვპასუხობს:

„ოპოზიციაში არის მკაფიო პოზიცია, რომ ჩვენ ვითხოვთ ვადამდელ, ახალ არჩევნებს და პირველ რიგში, ველოდებით, რომ ხელისუფლებამ გადმოდგას შემხვედრი ნაბიჯები ამ მიმართულებით. როგორი იქნება ტაქტიკა, რა გზით წავალთ და რა გზას შემოგვთავაზებს ხელისუფლება, ამას პროცესი გვაჩვენებს და უნდა დაველოდოთ ხელისუფლების პასუხს, რათა შვაფასოთ, მიგვიყვანს თუ არა შემოთავაზებული ვარიანტი ვადამდელ არჩევნებამდე“.

საბა ბუაძე, შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, პარლამენტში შესვლაზეც საუბრობს:

„როდესაც ვსაუბრობთ, რომ ახალი რიგგარეშე არჩევნები, რომელზეც შეთანხმება იქნება, უნდა ჩატარდეს სრულად პროპორციული წესით და ბუნებრივი ბარიერით, რასაკვირველია, ამას ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის, საპარლამენტო ფორმატში თანამშრომლობა დასჭირდება იმიტომ, რომ საკონსტიტუციო რეფორმა უნდა გატარდეს და აუცილებელი იქნება ოპოზიციის მონაწილეობა საპარლამენტო მუშაობაში და, დიახ, „ლელო“, ამ თვალსაზრისით, ადასტურებს მზაობას – იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებისგან იქნება თანხმობა ვადამდელ არჩევნებზე, რომელიც სრულიად პროპორციული წესითა და ბუნებრივი ბარიერით ჩატარდება, ჩვენ პარლამენტში ამ შეთანხმების განსახორციელებლად შევალთ. დროებით პარლამენტში შესვლა არ არსებობს, ამ პროცესში ან ვმონაწილეობთ ან – არა. ამჟამად ოპოზიცია არ მონაწილეობს საპარლამენტო პროცესებში, მაგრამ თუ იქნება შეთანხმება, ჩვენ მივიღებთ საპარლამენტო ცხოვრებაში მონაწილეობას“.

კოლეგებისგან განსხვავებული პოზიცია აქვს ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელ გიორგი გუგავას, რომელიც აცხადებს, რომ ამ პარლამენტში მათი ადგილი არ არის:

„პარტიები ვთანხმდებით, რომ მოლაპარაკების გზით უნდა გადაწყდეს ის მთავარი საკითხები, როგორებიცაა პოლიტპატიმრების გათავისუფლება, ხელახალი არჩევნები და ის წესებიც უნდა განისაზღვროს, რომელიც განაპირობებს სამართლიან არჩევნებს. პლებისციტი ჯერ არ განიხილება, მთავარი საკითხი რიგგარეშე არჩევნებია.

რაც შეეხება შეთანხმების შემთხვევაში პარლამენტში შესვლას, არც ეს საკითხი განიხილება ოპოზიციაში. ეს მისი ინდივიდუალური განცხადება იყო, მაგრამ ვითარება იცვლება და მთავარია რიგგარეშე არჩევნების მიღწევა, პოლიტპატიმრების გათავისუფლება და შემდგომ, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ, თავისუფალნი არიან პარტიები.

რა თქმა უნდა, ერთი პარტია არ ვართ და ერთმანეთთან ფიც-ვერცხლი არ გვაქვს ნაჭამი. ჩვენს შორის დიდი განსხვავებებია, სხვათა შორის, არა მხოლოდ წარსულის, არამედ, აწმყოს გამოც, იდეოლოგიური თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, რა გადაწყვეტილებასაც მიიღებენ, მათი პასუხისმგებლობაა, ჩვენ ვთვლით, რომ ამ არალეგიტიმურ პარლამენტში არაფერი გვესაქმება!“

გირჩის წარმომადგენელი, ვახო მეგრელიშვილი, მათ პარტიასთან დაკავშირებულ ერთ-ერთი სკანდალს იხსენებს, როდესაც ისინი ალეკო ელისაშვილს შეხვდნენ და შემდეგ, სხვა პარტიებთან ერთად, განცხადების გაკეთებას აპირებდნენ, თუმცა ყველაფერი ეს, ნიკა მელიასთან დაპირისპირებამ ჩაშალა. მეგრელიშვილის თქმით, მაშინ, სწორედ ამ საკითხზე ანუ შეთანხმების შემთხვევაში პარლამენტში შესვლაზე უნდა ემსჯელათ:

„გაგახსენებთ გირჩთან დაკავშირებულ სკანდალს, რომელიც ჯერ გიორგი ვაშაძესთან, შემდეგ კი, ზოგადად, ოპოზიციასთან იყო. სწორედ ამ საკითხს ეხებოდა, ამ წინადადებით მივდიოდით, ვიცოდით, რომ გიორგი თანახმა იყო და დაახლოებით, მსგავსი დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა ლელოსაც. ახლა გაკეთეს განცხადება იმაზე, რაც ჩვენ მაშინ გვინდოდა, საჯაროდ გაგვეკეთებინა, რომ თუ შეთანხმება იქნება, მაშინ ბუნებრივია, საჭიროა პარლამენტში შესვლა. ჯერ ელისაშვილს შევხვდით, შემდეგ სხვებთანაც ვაპირებდით, მაგრამ მელიასთან რომ კონფლიქტი მოგვივიდა... ჩვენი დამოკიდებულება ამ პროცესის მიმართ, რომ ეს „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის ორთაბრძოლაა და ამაში, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა დოზით, სხვა პარტიები გაიჭყლიტნენ, მგონი, ამას ადასტურებს.

მაშინ ნაციონალური მოძრაობა იყო ჩვენი მოლაპარაკების მთავარი გარანტორი, რადგან თუ ნიკა მელიასთან ამ თემაზე შევთანხმდებოდით, მცირე პარტიების პოზიციას დიდი მნიშვნელობა აღარც ექნებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბოლო მომენტში, ნაციონალურმა მოძრაობამ გადაიფიქრა, მკაფიოდ დაეფიქსირებინა პოზიცია პროპორციულ უბარიერო არჩევნებზე და თქვა, ახლა რაღა დროს მაგაზე ლაპარაკიაო. აი, მაგიტომ მოგვივიდა მაშინ კონფლიქტი. გამოვიდა, რომ პროცესის ჩაშლის, საბოტაჟის წინა რიგებში იყვნენ ევროპული საქართველოს პოლიტიკოსები, მაგრამ მათ მხარი დაუჭირა ნაციონალურმა მოძრაობამაც“.

მეგრელიშვილის თქმითვე, შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, გირჩი პარლამენტში შევა:

„ცხადია, შეთანხმება საჭიროა იმისთვის, რომ კალაპოტში დაბრუნდეს პროცესი, რომელიც დღეს, არაპროგნოზირებადია“.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ხატია დეკანოიძის პოზიცია კი ამ საკითხზე ასეთია:

„ჩვენთვის მთავარი ამოცანა ნიკას გათავისუფლებაა და რიგგარეშე არჩევნებზე საუბარი – საარჩევნო ცვლილებებით, სრულად პროპორციულ წესზე. თუ ამ შეთანხმებას ნიკა მიაღწევს, რა თქმა უნდა, დასჭირდებათ ჩვენი ხმები. ჯერ ნიკა მელია და გიორგი რურუა უნდა იყვნენ გარეთ და შემდეგ, რიგგარეშე არჩევნები, მართლმსაჯულება, ცესკო-ს ახალი ადმინისტრირება და სრულად პროპორციული სისტემა. მზად ვართ, ამას კენჭი ვუყაროთ“.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ჯონდი ბაღათურია: „ოცნება“ პარლამენტში კიდევ ორ პარტიას ელოდება, რომელსაც თავად აფინანსებდა!“

ხელისუფლებისა და ოპოზიციის ურთერთობა მწვავდება. 16 მარტამდე ანუ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრიუსელში გამგზავრებამდე, მმართველი ძალა და ოპოზიციური სპექტრი იმ 6-პუნქტიან გეგმაზე უნდა შეთანხმდეს, რაც ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, შარლ მიშელმა, საქართველოში ოფიციალური ვიზიტისას, ქართულ პოლიტიკურ სპექტრს დაუტოვა. ოპოზიცია კომპრომისებსა და მოლაპარაკების წითელ ხაზებზე, ტრადიციულად, ლეიბორისტული პარტიის ოფისში, გაერთიანებული მაგიდის ფორმატში მსჯელობს, რომელშიც პარტია ქართული დასი არ მონაწილეობს, რადგან ჯონდი ბაღათურია საკუთარ პრინციპს არ ღალატობს და მოლაპარაკების მაგიდასთან, ნაციონალური მოძრაობის გვერდით არ ჯდება. რა საკითხებში ეთანხმება გაერთიანებულ ოპოზიციას და რა მოლოდინი აქვს ხელისუფლებასთან მოლაპარაკების პროცესისგან? – „ვერსია“ ჯონდი ბაღათურიას ესაუბრა.

„დასავლეთი არ მოითხოვს, რომ მაინცდამაინც მიხეილ სააკაშვილსა და გიგა ბოკერიას დაელაპარაკოს“

– ბატონო ჯონდი, მართალია, გაერთიანებული ოპოზიციის ფორმატის წევრი არ ხართ, მაგრამ თქვენი აზრით, ოპოზიცია და ხელისუფლება რაზე შეთანხმდება?

– რადგან ეს ფორმატი ახსენეთ, ჩემს პოზიციას განვმარტავ, თუ რატომ არ ვმონაწილეობ. მიგვაჩნია და გვაქვს არგუმენტები, რომ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები, დამნაშავეები არიან სახელმწიფო ღალატში და მათთან რაიმე სახის თანამშრომლობა, თუნდაც იმ საკითხზე, რაც მიგვაჩნია, რომ სწორია, პრინციპულად მიუღებელია! ასევე, მიგვაჩნია, რომ მათ მიმართ უნდა იქნას მიღებული სამართლებრივი ზომები და „ქართული ოცნების“ დანაშაულებრივ გარიგებაში შესვლის გამოა, რომ ერთ მათგანსაც კი, სახელმწიფო ღალატის გამო, პასუხი არ უგია. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ნაციონალური მოძრაობის ირგვლივ გაერთიანება მიუღებელი და არაპროდუქტიულია. იქ, სადაც სათავეში დგას მიხეილ სააკაშვილი, ხალხი არ მოვა. ხომ ხედავთ, 200 კაცზე მეტს ვერ კრებენ?..

– ფიქრობთ, რომ აქციებზე ხალხი ნაციონალური მოძრაობის გამო არ გამოდის?

– დიახ, ესაა მთავარი მიზეზი. მათთან ერთად, არაპროდუქტიულია მცდელობა, ისეთი რაოდენობის ხალხი შევაგროვით, რომ ხელისუფლებაზე შთაბეჭდილება მოვახდინოთ.

– კი, მაგრამ არჩევნებში, ოპოზიციური სპექტრიდან, ნაციონალური მოძრაობა ყველაზე მაღალ შედეგს დებს ანუ მთავარ ოპოზიციურ ძალად ითვლება.

– არჩევნებში ასეთი მაღალი შედეგი რომ დადეს, აქციაზე 15 000 კაცი მაინც ხომ უნდა შეაგროვონ? პრობლემა ისაა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ხმები იქურდა არა მხოლოდ თავისთვის, არამედ, მოხდა გადანაწილება, მათ შორის, ნაციონალურ მოძრაობაზეც. სხვა პარტიების ხმები მიითვისეს და ამიტომაც ვერ იღებს ხმას „ქართული ოცნება“, ის არ ელოდა, რომ ნაციონალური მოძრაობა ამ გზას აირჩევდა, თუმცა ძალიან კარგია, რომ ეს გზა აირჩია, რაც კიდევ ერთი მაჩვენებელია, რომ მასთან მოლაპარაკება არ შეიძლება!

– იმაზე რას იტყვით, რომ თქვენი დამოკიდებულების მიუხედავად, თუნდაც დასავლეთისთვის, დღეს, ქართულ პოლიტიკურ ავანგარდში, სწორედ ნაციონალური მოძრაობა დგას?

– დასავლეთს ვისაც დაახვედრებ ხელოვნურად გაფორმებულ მთავარ ოპოზიციად, იმას დაელაპარაკება. მაგდენი პროცენტი ჩვენ რომ აგვეღო, ჩვენ დავხვდებოდით შარლ მიშელს. დასავლეთი არ მოითხოვს, რომ მაინცდამაინც მიხეილ სააკაშვილსა და გიგა ბოკერიას დაელაპარაკოს. ცხადია, იმას ელაპარაკებიან, ვისაც არჩევნებში მაღალი პროცენტი უწერია. არ ვამბობ, რომ მათ ხმები არ მიუღიათ, მაგრამ ასეთი მაღალი შედეგი არც „ქართულ ოცნებას“ და არც „ნაციონალურ მოძრაობას“ არ დაუდია, უბრალოდ, ამის ფალსიფიკაცია მოხდა.

– გასაგებია... ბატონო ჯონდი, არსებული მონაცემით და თქვენი ხედვით, ხელისუფლება და ოპოზიცია რაზე შეიძლება შეთანხმდეს და რაზე – ვერა?

– ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ როგორმე შეინარჩუნოს ეს 100-მდე მანდატი პარლამენტში. ის ოპოზიციაც, რომელიც წარმოდგენილია პარლამენტში, ხომ ამათია და ეს პარლამენტი, რა სახითაც უნდა შენარჩუნდეს, ლეგიტიმურობას მაინც ვერ შეიძენს. ყველა შემთხვევაში, ახალი არჩევნები უნდა შედგეს და მათთვის კიდევ უარესი, თუ ესენი შევიდნენ პარლამენტში. გადახედეთ შემადგენლობას, ესენი რომ შევიდნენ, ფიქრობთ, პარლამენტი უფლებამოსილი იქნება, კანონები მიიღოს?!

ქვეყანა კიდევ უფრო დაპაუზდება, ოთხი წელი იქნება ამათ შორის თეატრალიზებული ისტერიკები ეკრანზე, კულუარებში კი – გარიგებები ქვეყნის ეკონომიკის გადანაწილებაზე, ბიუჯეტის ფლანგვაზე და ასე შემდეგ, როგორც იყო 9 წლის განმავლობაში.

– ესე იგი, ვადამდელი არჩევნები გამოსავლად არ მოგაჩნიათ?

– კი, ვადამდელი არჩევნები გამოსავალია... იმ მოთხოვნებს, რაც ეხება ვადამდელ არჩევნებსა და ცვლილებებს საარჩევნო კოდექსში, მხარს ვუჭერთ, მაგრამ პრინციპულად მიუღებელია იმ მაგიდასთან ყოფნა, სადაც თავში ნაციონალური მოძრაობა დგას. როცა ეს ფორმატი დგებოდა და დამიკავშირდნენ კოლეგები, შევთავაზე, შევიკრიბოთ „ნაცმოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ გარეშე-მეთქი, მაგრამ ვერ დავარწმუნე.

– ამ პრინციპის გამო, თქვენ დარჩით თამაშგარე მდგომარეობაში და ვერ მონაწილეობთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში, რაზეც ოპოზიცია მსჯელობს...

– გეთანხმებით, მაგრამ მეორე მხრიდან შეხედეთ – დღეს რომ არჩევნები ჩატარდეს, იმ ფორმატში მონაწილე პარტიები ერთ პროცენტსაც ვეღარ აიღებენ, „ნაცმოძრაობამ“ მთლიანად შეისრუტა მათი ამომრჩეველი.

– მოკლედ, ოპოზიციის ერთიანი ფრონტის პრინციპს არ იზიარებთ?

– არჩევნებთან დაკავშირებით, ერთიანი ფრონტის მოთხოვნები სწორია – რიგგარეშე არჩევნები უნდა ჩატარდეს, რასაც წინ უნდა უძღოდეს საარჩევნო რეფორმა.

რა თქმა უნდა, თამაშგარე დავრჩით, მაგრამ ეს დროებითია. ხელოვნურად აკეთებს ამას „ქართული ოცნება“, თორემ არ შეიძლება, საარჩევნო საკითხზე სხვა პარტიებს ელაპარაკო? არ შეიძლება, ჩვენთან ლაპარაკი? „ქართულ ოცნებას“ ეს აწყობს, ფიქრობს, რომ ამ ფორმატის ირგვლივ კრიტიკული მასა არსებობს და იმდენად დიდია სიძულვილი ნაციონალური მოძრაობის მიმართ, რომ არა მხოლოდ აქციაზე არ მიდის, არამედ, ხალხი სხვა საკითხებსაც არ აპროტესტებს.

– რადგან გარდაუვლად მიგაჩნიათ, საინტერესოა, როდის, რა პერიოდში ელოდებით ვადამდელის ჩანიშვნას?

– თუ აკვირდებით, „ქართულ ოცნებას“ აქვს მესიჯბოქსი, რომ პარლამენტი ერთპარტიული აღარაა, რადგან ორი პარტია დაემატა. არადა, ეს „პარტიები“ რომ დაემატა, უფრო კომიკური და ოდიოზური გახდა პარლამენტი. კიდევ ორ პარტიას ელოდებიან, რადგან თავად აფინანსებდნენ და აქვთ ვალდებულებები, რომ შევიდნენ. ეს ორიც რომ დაემატოს, კიდევ უფრო კომიკური და კარიკატურული იქნება პარლამენტი. როგორც ჩანს, ლელო, ნაცმოძრაობა და ბოკერია არ დაემატება...

– აბა, რომელი პარტიები შედიან, თქვენი ინფორმაციით?

– არ მინდა თქმა, ყოველ შემთხვევაში, ნარკოტესტს ვერ გაივლიან. პარლამენტში შესვლის წინ, ნარკოტესტი უნდა გაიარო და ვერ გაივლის ნარკოტესტს ერთი... ამ პარტიებს, მეორე წელია, აფინანსებენ, ამიტომ დაემატება, ალბათ, ეს ორი პარტია... წარმოიდგინეთ, ყველა რომ შევიდეს, შეიძლება, საქართველოს პარლამენტში იჯდეს ისეთი 50 მანდატი, რომელიც ტაშს უკრავს დავით გარეჯის აზერბაიჯანისთვის გადაცემას? არ მინდა ასეთ პარლამენტში ყოფნა!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სახელმწიფომ მცირე და საშუალო ბიზნესს ახალი რეგულაციები დაუწესა!

რას ნიშნავს და როგორ უნდა აწარმოოთ ე.წ. ტაბელის ცხრილი და რას ითხოვს მაღაზიების ასოციაცია შრომის ინსპექციისგან

1 მარტიდან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით, ახალი რეგულაცია ამოქმედდა. კერძოდ, შრომის კოდექსის საფუძველზე, საქართველოში მოქმედ ყველა დამსაქმებელს, თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაო საათების ზუსტი აღრიცხვა დაევალა. მოკლედ, ნებისმიერი კომპანია, მცირე იქნება თუ საშუალო, ვალდებულია, „ტაბელის“ ცხრილი ანუ დასაქმებულთა სამუშაო საათები, ასევე, მათი გაცდენები აღრიცხოს. რაც მთავარია, „ტაბელის“ ცხრილი, ერთგვარი ანგარიშფაქტურაა, რომელიც დამსაქმებელმა ყოველთვიურად უნდა აწარმოოს და ერთი წლის განმავლობაში შეინახოს.

„ტაბელის“ ცხრილი სახელმწიფო უწყებებში უკვე მოქმედებს. ეს აუცილებელია, რადგან დასაქმებული ადამიანის მიერ შესრულებული სამუშაო საათების მიხედვით განისაზღრება მისი შრომითი ანაზღაურება, პრემია და დანამატი. შევთანხმდეთ, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებში – სამინისტროებში, სახელმწიფო სსიპებ-სა თუ შპს-ებში სწორედ ხელფასის ოდენობა და პრემია-დანამატები ეხვევა კრიტიკის ქარცეცხლში. გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტის დროს, სწორედ „ტაბელის“ ცხრილის საშუალებით ადგენენ და არკვევენ აუდიტორები, სწორად გასცა ხელფასი, პრემია ან დანამატი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებამ თუ არა.

დიახ, სახელმწიფო უწყებებში „ტაბელის“ ცხრილი აუცილებელია, მაგრამ ბიზნესისთვის ზედმეტი რეგულაციაა. პრინციპში, მსხვილ ბიზნესს ამ მხრივ ნამდვილად არ უჭირს, მაგრამ საშუალო და მცირე ბიზნესი საგონებელში ჩავარდა – პანდემიის გამო, ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფთ, ახალი რეგულაციაც დაემატათ. რაც მთავარია, ბევრმა პატარა კომპანიამ ისიც კი არ იცის, რეალურად რა ცვლილება ამოქმედდა 1 მარტიდან.

სავარაუდოდ, სწორედ ეს გახდა მიზეზი, რის გამოც „მაღაზიათა ასოციაციამ“ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალურად მიმართა, რომ ეს ვალდებულება ერთი თვით გადაავადოს. ეს ნიშნავს, რომ ერთი თვის განმავლობაში, შრომის ინსპექციამ მცირე მაღაზიები არ შეამოწმოს. მიზეზი ისაა, რომ მცირე მაღაზიების მფლობელები ინფორმირებულები არ არიან, რეალურად რას ნიშნავს „ტაბელის“ ცხრილი, როგორ უნდა აწარმოონ და არც ის იციან, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად დაჯარიმდებიან.

„მაღაზიათა ასოციაცია“ სწორედ ამიტომ ითხოვს რეგულაციის გადავადებას. მეტიც, ასოციაციაში აცხადებენ, რომ ახალი რეგულაციების შესრულებაში მცირე მაღაზიებს დაეხმარებიან კიდეც, რისთვისაც გარკვეული დრო აუცილებლად სჭირდებათ.

როგორც აღვნიშნეთ, რეგულაცია, რომელიც ეკატერინე ტიკარაძის ბრძანებით, 1 მარტიდან ამოქმედდა, დამსაქმებლებს ავალდებულებს, რომ დასაქმებულთა შესრულებული სამუშაოები და მათი გაცდენები აღრიცხონ. ეს ანგარიშფაქტურები დამსაქმებლებმა ყოველთვიურად უნდა შეავსონ, ერთგვარი არქივი კი ერთი წლის მანძილზე შეინახონ. დოკუმენტში, რომელიც „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნდა, ვკითხულობთ:

„დამსაქმებელი ვალდებულია, სამუშაო დღეს წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო და სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს დასაქმებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია. დასაქმებული უფლებამოსილია, დამსაქმებლისგან მოითხოვოს მის მიერ ნამუშევარი საათების აღრიცხვის დოკუმენტ(ებ)ის გაცნობა.

სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა, როგორც ყოველთვიური დოკუმენტი, საბოლოო წერილობითი ან/და ელექტრონული დოკუმენტის სახით შევსებული და ხელმოწერილი, 1 წლის განმავლობაში ინახება დამსაქმებელთან ან მის მიერ განსაზღვრულ სტრუქტურულ ქვედანაყოფში/პირთან“.

ვნახოთ, როგორ უნდა აწარმოოს დამსაქმებელმა „ტაბელის“ ცხრილი და რა მონაცემები უნდა შეიყვანოს მასში: გრაფაში „ორგანიზაციის დასახელება“ – ორგანიზაციის/დაწესებულების სრული დასახელება უნდა მიუთითოთ; გრაფაში „სტრუქტურული ერთეული“ – ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულის/ დანაყოფის/ქვედანაყოფის, როგორებიცაა დეპარტამენტი, სამსახური, სამმართველო და ა.შ. სრული დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიუთითოთ; გრაფაში „შედგენის თარიღი“ – პასუხისმგებელმა პირმა უნდა მიუთითოს სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის შედგენის თარიღი; გრაფაში „საანგარიშო პერიოდი (-დან, -მდე)“ – საანგარიშო პერიოდის დაწყებისა და დასრულების თარიღები უნდა ასახოთ; გრაფაში „საიდენტიფიკაციო კოდი“ – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული უნიკალური და მუდმივი საიდენტიფიკაციო ნომერი უნდა მიუთითოთ; გრაფაში 1 – რიგითი ნომერი; გრაფაში 2 – დასაქმებულის გვარი, სახელი, თანამდებობა (სპეციალობა, პროფესია); გრაფაში 3 – პირადი ნომერი ან ტაბელის ნომერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში; გრაფებში 4 და 6 – საანგარიშო პერიოდში/თვის განმავლობაში არსებული აღნიშვნები სამუშაოზე გამოცხადების ან არგამოცხადების შესახებ თარიღების მიხედვით, შესაბამისად, თვის პირველ და მეორე ნახევარში უნდა ასახოთ; გრაფებში 5 და 7 – შესაბამისი თვის პირველ და მეორე ნახევარში ნამუშევარი საათების ჯამი უნდა მიუთითოთ; გრაფაში 8 – თვის განმავლობაში ნამუშევარ დღეთა ჯამური რაოდენობა ასახეთ; გრაფაში 9 – თვის განმავლობაში ნამუშევარი საათების ჯამური რაოდენობა უნდა ასახოთ; გრაფაში 10 – თვის განმავლობაში ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ჯამური რაოდენობა უნდა მიუთითოთ; გრაფაში 11 – თვის განმავლობაში ღამით (22.00-დან 6.00-მდე პერიოდი) ნამუშევარი საათების ჯამური რაოდენობა ასახეთ; გრაფაში 12 – თვის განმავლობაში დასვენების, უქმე დღეებში ნამუშევარი საათების ჯამური რაოდენობა მიუთითეთ; გრაფაში 13 – თვის განმავლობაში სხვა 10-12 გრაფებისგან განსხვავებული, მათ შორის, დისტანციურად ნამუშევარი საათების ჯამური რაოდენობა აღრიცხეთ; გრაფაში 14 – თვის განმავლობაში დროებითი შრომისუუნარობის პერიოდის დღეთა ჯამური რაოდენობა, მათ შორის, ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების (საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის) პერიოდი მიუთითეთ; გრაფაში 15 – თვის განმავლობაში ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის დღეთა ჯამური რაოდენობა, მათ შორის, ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდი ასახეთ; გრაფაში 16 – ანაზღაურების გარეშე შვებულებაში ყოფნის დღეთა ჯამური რაოდენობა, მათ შორის, ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურების გარეშე შვებულების პერიოდი ასახეთ; გრაფაში 17 – თვის განმავლობაში სხვა, 14-16 გრაფებისგან განსხვავებული გაცდენილი დღეების/საათების ჯამური რაოდენობა მიუთითეთ; გრაფაში 18 – თვის განმავლობაში დასვენების, უქმე დღეების ჯამური რაოდენობა ასახეთ; გრაფაში „პასუხისმგებელი პირი“ – დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის წარმოებაზე/შევსებაზე პასუხისმგებელი პირის თანამდებობა და ხელმოწერაა საჭირო; გრაფაში „ორგანიზაციის/სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი“ – ორგანიზაციის/სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა, ხელმოწერა და თარიღი გჭირდებათ.

იმ შეთხვევაში, თუ ორგანიზაციის/სტუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და შევსებაზე პასუხისმგებელი პირი ერთი და იგივეა, სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა დასტურდება ორგანიზაციის/სტუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ხელმოწერით.

სტატია სახელმწიფო უწყებებში მოქმედი „ტაბელის“ ცხრილით შემთხვევით არ დამიწყია. „ვერსიის“ მკითხველებმა კარგად იციან, რომ წლების მანძილზე, ლამის ყოველ ნომერში, სახელმწიფო აუდიტის სკანდალური დასკვნის მოკლე მიმოხილვას ვაქვეყნებთ. სხვადასხვა სახის დარღვევებთან ერთად, ამ დასკვნებში მნიშვნელოვანია ის ნაწილი, რომელიც შრომის ანაზღაურებას ანუ ხელფასს და პრემია-დანამატებს ეხება. სახელმწიფო აუდიტის დასკვნების საფუძველზე, თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ეკონომიკური პროფილის სამინისტროებშიც კი, მათ შორის, ფინანსთა, ეკონომიკის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის... მოკლედ, ყველა სახელმწიფო უწყების ერთ-ერთი პრობლემა „ტაბელის“ ცხრილის სწორად წარმოებაა. არადა, მისი წარმოება მნიშვნელოვანია, სხვაგვარად, სახელმწიფო აუდიტორები როგორ დაადგენენ, მიზნობრივად იხარჯება თუ არა საბიუჯეტო სახსრები?

მეტსაც გეტყვით, სახელმწიფო აუდიტის დასკვნებიდან გამომდინარე, ტენდენციურია ასეთი მიდგომა: „ტაბელში“ ინფორმაცია არასრულია, მითითებული არ არის, როდის დაიწყო და დაასრულა თანამშრომელმა სამუშაო, შესაბამისად, ჩნდება ეჭვი, რომ სოლიდური შრომითი ანაზღაურება არამიზნობრივადაა გაცემული; გარდა ამისა, ზუსტად არ არის მითითებული, რა ტიპის ზეგანაკვეთური სამუშაო შეასრულა დასაქმებულმა, შესაბამისად, მისთვის გადახდილი პრემია-დანამატიც ფუჭი ხარჯია, რაც ბიუჯეტს ტვირთად დააწვა.

დიახ, ბატონებო და ქალბატონებო, „ტაბელის“ წარმოება აუცილებელი და საჭიროა, განსაკუთრებით სახელმწიფო უწყებებში, ოღონდ იმის წარმოდგენაც კი მზარავს, რა საშინელება მოჰყვება ამ რეგულაციას მცირე და საშუალო ბიზნესში მაშინ, როდესაც ეკონომიკური პროფილის სამინისტროების კვალიფიციურ ფინანსისტებსაც კი „ეშლებათ“ ხოლმე „ტაბელის“ წარმოება.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ხაშურის მუნიციპალიტეტი საბიუჯეტო სახსრების ფლანგვაშია მხილებული

დარვევები ფინანსურ რესურსებში, წყალმომარაგებასა და სახელმწიფო შესყიდვებში – აუდიტის მორიგი სკანდალური დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ხაშურის მუნიციპალიტეტი შეამოწმა. ესაა 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი, სადაც სხვადასხვა სახის დარღვევები და ხარვეზები გამოვლინდა. ვიდრე ამ დარღვევებს განვიხილავთ, შეგახსენებთ, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტი დამოუკიდებელი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სსიპ-ია, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი მოიცავს 13 ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აერთიანებს ერთ დაბას, 82 სოფელსა და ადმინისტრაციულ ცენტრს – ქალაქ ხაშურს. მუნიციპალიტეტის ფართობია 585.0 კვადრატული კილომეტრი, ხოლო მოსახლეობის რიცხოვნობა 2018 წლის მდგომარეობით, 51 900 კაცს შეადგენს.

ხარვეზები ფინანსურ რესურსებში

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2018-2019 წლების შემოსულობები – 39 435 500 ლარი, ხოლო გადასახდელები – 39 116 000 ლარი იყო. სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ორივე საანგარიშო წელს, შემოსულობები დაბალი მაჩვენებლით შესრულდა და დაგეგმილი ძირითადი აქტივების რეალიზაციაც ვერ განხორციელდა. ეს იმიტომ, რომ 2018 წელს, ყოფილი „აზნეფტის“ ქონების (არასასოფლო-სამეურნეო მიწა) გასხვისებაზე, ხაშურის მუნიციპალიტეტმა ელექტრონული აუქციონი გამოაცხადა მხოლოდ ერთხელ, რომელიც უარყოფითი შედეგით დასრულდა. 2019 წელს, შემოსავლები დაგეგმილი იყო სახელმწიფოს მიერ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონების პრივატიზებიდან, რაც 2020 წელს გაიყიდა.

გადასახდელებში მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ შეასრულა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი. კერძოდ, მერიამ, წლის ბოლომდე ვერ აითვისა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები. შესაბამისად, ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის, ქუჩების, გზების, მინი-სტადიონებისა და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები.

„საანგარიშო პერიოდში, ხაშურის მუნიციპალიტეტი ფლობდა მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს, კერძოდ, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ბალანსზე, ნაშთის სახით, 1 920 200 ლარი ირიცხებოდა. 2018 წლისთვის, დაიგეგმა 1 618 700 ლარის ათვისება, თუმცა დაგეგმილი ნაშთიდან, მხოლოდ 82 100 ლარი გამოიყენეს. შესაბამისად, საბოლოოდ, დაფიქსირდა 1 838 100 ლარის ნაშთი, საიდანაც 104 600 ლარი თავისუფალი ნაშთია. 2019 წელს, მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 1 662 400 ლარის ათვისება, თუმცა დააგროვა 401 600 ლარი. საბოლოოდ, წლის ბოლოსთვის, საბიუჯეტო ნაშთმა 2 239 700 ლარი შეადგინა, საიდანაც 787 900 ლარი თავისუფალი ნაშთია“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ 2018-2019 წლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტმა, ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები დროულად ვერ განახორციელა და არსებითი მოცულობის ნაშთი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი) დააგროვა. აუდიტორების მტკიცებით, ეს ნიშნავს, რომ მის მფლობელობაში არსებულ ფინანსურ რესურსებს, ხაშურის მუნიციპალიტეტი არაეფექტიანად მართავს.

დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ 2018-2019 წლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტმა, 106 ხელშეკრულების საფუძველზე, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა, რომელთა საერთო ღირებულება 21 321 600 ლარი (20 000 ლარის და მეტი ღირებულების პროექტები) იყო. მუნიციპალიტეტმა უხარისხო სამუშაოები, მხოლოდ 9 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ პროექტებზე გამოავლინა, რომელთა ღირებულება 6 266 900 ლარია. კერძოდ, დაზიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის, სპორტული და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები.

სახელმწიფო აუდიტორებმა ეს პროექტები დაათვალიერეს, შეისწავლეს და დაადგინეს, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები საკმაოდ სუსტი იყო. ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილი შესრულებულია უხარისხოდ, ობიექტები დაზიანდა და საჭირო გახდა დამატებითი რეაბილიტაცია.

„2017-2019 წლებში, შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ს, გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურებაზე, რომელთა საერთო ღირებულება 849 300 ლარი იყო. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მიმწოდებელი პასუხისმგებელი იყო შესრულებული სამუშაოების ხარისხზე. ხაშურის მუნიციპალიტეტმა ვერ წარადგინა მტკიცებულებები, რა სახის სანქციები გაატარა მიმწოდებლის მიმართ, რომელმაც უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები ჩააბარა“.

სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ მუნიციპალიტეტმა ვერ დანერგა კონტროლის სათანადო პროცედურები და პროცესები ვერ წარმართა იმგვარად, რომ არ მიეღო უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები. კერძოდ, ხაშურის მერიამ ჩაიბარა 6 266 800 ლარის ღირებულების ისეთი ობიექტები, რომლებიც დაზიანდა და დამატებითი რეაბილიტაცია სჭირდება.

ხარვეზები წყალმომარაგებაში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ, 2018-2019 წლებში მიღებული პრიორიტეტების დოკუმენტებით, სასმელი წყლის სისტემები უნდა დაფინანსებულიყო. სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2018 წელს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობის წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, მხოლოდ 240 300 ლარი დაიხარჯა.

2019 წელს, ბიუჯეტიდან დახარჯული 824 600 ლარიდან, 173 300 ლარი – „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, მოსახლეობის მიერ შერჩეულ პროექტებს მოხმარდა. კერძოდ, ჭების მოწყობას, ავზების, წყლის მილებისა და სხვა მასალების შეძენას, ხოლო 575 000 ლარი – სოფელ ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობისა და მაგისტრალის მოწყობის სამუშაოებისთვის, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხაა.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ხაშურის მუნიციპალიტეტი არ აწარმოებს სასმელი წყლის ლაბორატორიულ კვლევას. ჭები და სათავე ნაგებობები, საიდანაც მოსახლეობას წყალი მიეწოდება, არ არის აღჭურვილი წყლის დაქლორვის საშუალებებით. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, სოფლის მოსახლეობისთვის მიწოდებული წყლის ხარისხი არ მოწმდება. 2018-2019 წლებში, წყლის მომხმარებელი აბონენტების გამრიცხველიანების სამუშაოები არ დაფინანსებულა, რაც ხელს შეუწყობდა წყლის ეკონომიას და თანაბარ განაწილებას.

შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტში, მოსახლეობის წყალმომარაგებაში, მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს: მოსახლეობის უმეტეს ნაწილს სასმელი წყალი არ მიეწოდება, ან მიეწოდება შეფერხებით; მიწოდებული წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება. აუდიტორებისვე მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა სისტემურ ხასიათს ატარებს, საკითხის მოსაგვარებლად, მუნიციპალიტეტის მიერ გატარებული ღონისძიებები არასაკმარისია.

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში

რა თქმა, სახელმწიფო აუდიტორებმა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო შესყიდვებშიც. 2018 წელს, მუნიციპალიტეტმა, ქალაქ ხაშურის №7 საჯარო სკოლის რეაბილიტაციისთვის გამოაცხადა ტენდერი, რომლის ღირებულება 100 600 ლარი იყო. ტენდერში ყველაზე დაბალი ფასი დაფიქსირდა 82 000 ლარის ოდენობით, თუმცა სატენდერო კომისიამ პრეტენდენტს – შპს „ემ ემ მშენს“ დისკვალიფიკაცია მიანიჭა, რადგან მიიჩნია, რომ მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა სატენდერო პირობებს.

აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ პრეტენდენტის სამუშაო გამოცდილება დათვალა არა მის მიერვე შედგენილი ტექნიკური პირობის მიხედვით (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, ფორმა №2), არამედ, საგადასახადო ანგარიშფაქტურებით, რის გამოც პრეტენდენტს დისკვალიფიკაცია მიანიჭა. სამაგიეროდ, ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა მომდევნო პრეტენდენტი, რომელთანაც ხელშეკრულება 87 500 ლარზე გააფორმეს. შედეგად, ხაშურის მუნიციპალიტეტმა 5 500 ლარის სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა დაკარგა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ სატენდერო კომისიამ, დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია განახორციელა კანონმდებლობის დარღვევით. სამუშაოები კი შეისყიდა უფრო მაღალი ღირებულებით და ბიუჯეტიდან გასწია არაეკონომიური ხარჯი – 5 500 ლარის ოდენობით.

სამართალი

№6 10 მარტი 2021 წ

სექტანტების რიტუალური მკვლელობა

ვინ არის მამაკაცი, რომელიც ადამიანებს ცეცხლით გაწმენდას აიძულებს

ბათო ჯაფარიძე

ათასგვარი სექტა მხოლოდ ახლა კი არ არსებობს, არამედ, კომუნისტების ზეობის დროსაც არსებობდა. ძირითადად, რუსეთის, ბელორუსისა და უკრაინის მივარდნილ სოფლებში ნახავდით ანუ იქ, სადაც კანონი გვიან აღწევდა. ადამიანთა მცირე ჯგუფები სხვადასხვა მიმდინარეობებს ქმნიდნენ, საკუთარი წესები ჰქონდათ, საკუთარ ლოცვებს იგონებდნენ, მოკლედ, ჩვეულებრივ სექტებს აყალიბებდნენ.

„70-იანი წლების დასაწყისი იყო. მაშინ, ჯერ კიდევ, უშიშროებაში ვმუშაობდი, მინდოდა, სწორედ ამ სფეროს გავყოლოდი, მაგრამ საქმემ, რომელიც შეგვხვდა, არჩევანი შემაცვლევინა და მილიციაში გადავედი. არჩევანს დღემდე არ ვნანობ, რადგან იმის მიუხედავად, რომ უშიშროებაში ხელფასიც მეტი მექნებოდა და პენსიაც, ავცდი იმ ქარტეხილებს, რომელიც ამ უწყებამ გადაიტანა. ავცდი იმ საშინელებებს, რომელიც ჩვენამდეც კი არ მოდიოდა ბოლომდე. ორი ინსულტი მაქვს გადატანილი და უშიშროებაში ამას ვერ გავუძლებდი. ახლა კი ამბავი, რომლის შემდეგაც უშიშროებაში მუშაობა გადავიფიქრე“, – ასე იწყებს იმ ისტორიის თხრობას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი, რომელსაც 50 წლის მანძილზე, გრიფით საიდუმლო ედო და მიმდინარე წლის 1 იანვარს მოიხსნა.

არხანგელსკის ოლქში, ერთ-ერთი სოფლის ახლოს, მიტოვებული სამონადირეო სახლი დაიწვა. როცა ადგილზე მეხანძრეები მივიდნენ, აღარ იცოდნენ, რა გაკეთებინათ გაოცებისა და შიშისგან. დანახშირებულ ბოძებს შორის, დაახლოებით, 20 ადამიანის დამწვარი სხეული ჩანდა – იყვნენ კაცები, ქალები, ბავშვები...

სამართალდამცავები ადგილზე მალე გამოცხადდნენ, თუმცა მათ ფეხდაფეხ, უშიშროების თანამშრომლები მოჰყვნენ – ჯართან ერთად, ტერიტორიას ალყა შემოარტყეს და საკუთარი ექსპერტები მოიყვანეს. ექსპერტიზის დასკვნა შოკისმომგვრელი გახლდათ – არცერთ გარდაცვლილს ძალადობის ნიშნები არ ეტყობოდა და ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ ისინი საკუთარი ნებით დაიწვნენ ცეცხლში. არც ხელ-ფეხი ჰქონდა გაკრული არავის და გარეთ გამოსასვლელი კარიც საკეტის გარეშე იყო. რაც მთავარია, არცერთ გარდაცვლილს არ ჰქონდა საბუთი თან და შესაბამისად, არც დაკარგულად ჩაითვლებოდა.

„ამის შემდეგ, მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, სპეცსამსახურების თანამშრომლების მობილიზაცია გამოცხადდა. ჯერ ერთი, არხანგელსკის ოლქი ძალიან დიდია და მეორეც, საჭირო იყო სირბილი, ასეულობით ადამიანის გამოკითხვა, გარდაცვლილთა შორის, ერთის ვინაობის დადგენა მაინც. 14-ვე რესპუბლიკიდან რუსეთში, მინიმუმ, 20 თანამშრომელი გაგვიშვეს, მთელ არხანგელსკში მიმოგვფანტეს და ორ დღეში, გარდაცვლილთაგან ორის ვინაობა ვიცოდით“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გარდაცვლილთაგან ორი ამოცნობილი, ცოლ-ქმარი გახლდათ. ქმარი ხარატად მუშაობდა, ცოლი – საბავშვო ბაღის აღმზრდელად. სანიმუშო ოჯახი იყო, წესიერი, პატიოსანი. მათი საცხოვრებლის დათვალიერებამ ძიებას არაფერი მისცა. აი, ავტოფარეხში კი უშიშროების თანამშრომლებმა ერთი ცალი ოქროს კბილი იპოვეს. მაშინვე ექსპერტიზის დასკვნა გაახსენდათ, გარდაცვლილთაგან რამდენიმეს კბილი ძალიან უხეშად ჰქონდა ამოღებული და როგორც ექიმები ამბობდნენ, კბილი მეტალის, სავარაუდოდ, ოქროსი იყო. ყურადღება იმანაც მიიპყრო, რომ ცოლ-ქმრის სახლი, თითქმის ცარიელი იყო... გამოძიება კბილებს გაჰყვა და ნელ-ნელა ყველას იდენტიფიკაცია მოახერხა. უშიშროების კომიტეტი თავს იმტვრევდა, რადგან ამ ადამიანებს ერთმანეთთან, პრაქტიკულად, არაფერი აკავშირებდათ, იქ იყო ინჟინერი, მაღაზიის გამყიდველი, დარაჯი, ფიზიკოსი... პროფესორიც კი. ყველას ბინის ჩხრეკა ჩატარდა და აღმოჩნდა, რომ არავის, პრაქტიკულად, არაფერი ებადა, გაყიდული იყო არა მხოლოდ ძვირფასეულობა, არამედ, ავეჯიც და რაც მთავარია, განადგურებული იყო ოჯახები ანუ დამწვარი იყვნენ ან ერთი ოჯახის წევრები, ან ადამიანები, რომლებსაც ცოლი, ქმარი ან შვილი არ ჰყავდათ.

სანამ უშიშროების კომიტეტი თავს იმტვრევდა, რა მოხდა სინამდვილეში, ხოლო მთელი საბჭოეთის მასშტაბიდან ჩასული უშიშროების თანამშრომლები, ლამის მთელ ქვეყანას კუნჭულ-კუნჭულ ქექავდნენ, მოსკოვის გარეუბანში, იქ, სადაც ახლა პრესტიჟული აგარაკებია, მაშინ კი „დაჩნიკების“ ქოხები იდგა, ერთი სახლი დაიწვა. სახლში ჩაიწვნენ სოფლის მაცხოვრებლები, სულ სამი ოჯახი და ყველას იგივე ნიშნები ჰქონდა, თუმცა ამჯერად, უშიშროებას ხელჩასაჭიდი მიეცა. როცა ადგილზე მივიდნენ, სოფლის რწმუნებული პატარა გოგონას ამშვიდებდა და ჯარს უკვე ალყა ჰქონდა დარტყმული ტერიტორიისთვის. როგორც გაირკვა, გოგონაც იმ ქოხში იყო, მაგრამ გამოძრომა მოახერხა.

„დილით, ჩემმა დამ ლამაზად ჩამაცვა და მითხრა, რომ განსაწმენდად მივდიოდით – ცოდვებისგან უნდა გავწმენდილიყავით ცეცხლით. ქოხში შევედით, ტირილი დავიწყე, შემეშინდა. ამ დროს ჩემთან ერთი ძია მოვიდა, ცალი თვალი შეხვეული ჰქონდა, თოჯინა მომაწოდა და მითხრა, გაჩუმდი, ყველაფერი რიგზე იქნებაო. ის ძიაც ჩვენთან ერთად დაჯდა. მთელ სახლში ნავთი მოასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. მე გაძრომა ვცადე, ვერ შევძელი. მერე დავინახე, რომ იმ ძიამ სახეზე რაღაც გაიკეთა, უკანა კართან ფიცარი გადაწია, გაძვრა და გაიქცა. მეც იგივე ფიცარი გადავწიე და გამოვედი“, – ეს არის გოგონას მონაყოლი, რომელიც ნაჩუქარ თოჯინას ძალუმად იხუტებდა.

სამართალდამცავებმა თოჯინა მაშინვე ექსპერტიზაზე წაიღეს, ექიმებმა კი გოგონას გადარჩენა იმით ახსნეს, რომ ის სხვებზე დაბალი იყო და შესაბამისად, კვამლმა მის ცხვირამდე და ფილტვებამდე ყველაზე გვიან მიაღწია. ის რაღაც, რაც ცალთვალა კაცმა სახეზე გაიკეთა, აირწინაღი იყო. გოგონას აჩვენეს და მან თქვა, რომ უცნობს სწორედ ეს ნიღაბი ეკეთა. საბედნიეროდ, თოჯინაზე ორი თითის ანაბეჭდი მკაფიოდ ჩანდა. ეს დამნაშავის შეცდომა არ იყო, ის დარწმუნებული გახლდათ, რომ სათამაშო გოგონასთან ერთად დაიფერფლებოდა, მაგრამ შეცდა. ანაბეჭდები კარტოთეკაში გადაამოწმეს და საბჭოთა კავშირის ძალოვანებს საქმე მიეცათ – მათ 44 წლის გლებ ვოზნიუკი უნდა ენახათ, კაცი, რომელსაც ციხეებში 18 წელი ჰქონდა გატარებული. თვალი იმიტომ აკლდა, რომ „ზონაზე“, „კარტში“ წააგო და საკუთარი ხელით ამოითხარა. მისი სურათი ანახეს ყველა მაღაზიის გამყიდველს, ყველა მძღოლს, ოღონდ ინსტრუქტაჟი მკაცრი იყო – არავის, არაფერი უნდა წამოსცდენოდა. ერთ-ერთი მაღაზიის გამყიდველმა კაცი იცნო, ამ უბანში ქალი ცხოვრობს და მასთან ერთად, ორჯერ შემოვიდაო. დაიწყო იმ ქალის ბინის თვალთვალი. ორი კვირის შემდეგ, გლებ ვოზნიუკი ახალთახალი „ვოლგით“ მიადგა საყვარლის კორპუსს, თუმცა ალბათ, გუმანით იგრძნო, რომ ჩასაფრება მოუწყვეს და მანქანა ადგილიდან მოწყვიტა. დევნა მალე დასრულდა, დამნაშავე ბეტონის ჯებირს შეეჯახა და სამართალდამცავებმა დააკავეს. მას ფეხი ჰქონდა მოტეხილი და გაქცევა არც უცდია.

„ციხეში, ბოლო ვადას რომ ვიხდიდი, პეტრე პირველის დროინდელი ამბები წავიკითხე. იქიდან გავიგე, რომ დიდი მეფის დროს, იყო ვიღაც, ვინც ხალხს აჯერებდა, ცოდვებისგან მხოლოდ ცეცხლით გათავისუფლდებით და ბედნიერები იქნებითო. მეც დავიწყე იმ ადამიანებზე ინფორმაციის მოძიება, ვინც თვლიდა, რომ მეტს იმსახურებდა. მაგალითად, იმ ხარატსა და მის ცოლს შვილი არ ჰყავდათ და ვუთხარი, გეყოლებათ-მეთქი. ფიზიკოსს რაღაც გამოგონება დაუწუნეს. მთავარი მოთხოვნა მქონდა, მათ უარი უნდა ეთქვათ ამქვეყნიურ სიამოვნებაზე, ოქრო და ფული ფუფუნების საგანი და ცოდვა იყო. ისინი ცეცხლით უნდა განწმენდილიყვნენ და ჩემი ლოცვით, ცეცხლიდან უვნებლად გამოვიდოდნენ. რწმენა კი იმიტომ უჩნდებოდათ, რომ ცეცხლში მათთან ერთად შევდიოდი. მერე აირწინაღს ვიკეთებდი, როცა ისინი კვამლით იგუდებოდნენ, წინასწარ დატოვებული გასასვლელიდან გავდიოდი, მთელი მათი ქონება კი მე მრჩებოდა, ოქროს კბილებსაც იმიტომ ვაძრობდი, რომ ცეცხლს განწმენდილები უნდა შეხვედროდნენ“, -დაახლოებით, ასე ჩამოაყალიბა ცნობილმა კრიმინალმა, მის მიერ განხორციელებული საზარელი გეგმა.

გაბრიყვებული ადამიანებისგან ნაძარცვი ფულით, „ვოლგა“ იყიდა, ასევე, აგარაკი, ბინა. საკუთარ თავს უარს არაფერზე ეუბნებოდა და ყველაფერ ამას, საყვარლისა და მისი მშობლების სახელზე აფორმებდა. მშობლები სოფელში ცხოვრობდნენ და არ იყო ისეთი კონტროლი, როგორც ქალაქში. კომუნისტების დროს, ნებისმიერი კაპიკის წარმომავლობა უნდა აგეხსნა. რაღა თქმა უნდა, ყველა ელოდა, რომ ვოზნიუკს სასჯელის უმაღლეს ზომას გამოუტანდნენ, მაგრამ მოტეხილი ფეხის გამო, მას სეფსისი განუვითარდა და დაკავებიდან მე-11 დღეს, საავადმყოფოში მოკვდა.

უშიშროებამ ამ საქმეს გრიფით საიდუმლო დაადო და ამის მიუხედავად, ზუსტად ერთ წელიწადში, ამერიკულ პრესაში ინფორმაციამ გაჟონა. მაშინ ამერიკული გაზეთები წერდნენ, რომ საბჭოეთში, სექტანტებმა რამდენიმე ათეული ადამიანი დაწვეს, თუმცა როგორც ჩანს, დამადასტურებელი დოკუმენტები არ ჰქონდათ და რუსულმა „კა-გე-ბე“-მ, ეს ამბავი, ამერიკელთა მორიგ ჭორად მარტივად გაასაღა. არადა, საქმე სწორედ გლებ ვოზნიუკის მიერ ჩადენილ უსასტიკეს დანაშაულს ეხებოდა.

დიდი კორუფციული სქემა, რომელიც საშინელი ტრაგედიით დასრულდა

ბათო ჯაფარიძე

როგორც წესი, კრიმინალურ სამყაროში ყველაზე ნაკლებ შეცდომას ბინის ქურდები უშვებენ. იმის მიუხედავად, რომ საგამოძიებო ტექნოლოგიები ძალიან შორს წავიდა, ბინის ქურდები მაინც ახერხებენ, ისე იმოქმედონ, რომ სამართალდამცავებს თავ-გზა აუბნიონ და მათი დაკავება ვერ მოახერხონ. დღესაც კი, მსოფლიოს მასშტაბით, რამდენიმე ათეული „მედვეჟატნიკია“, რომელსაც პოლიცია ეძებს, მაგრამ ვერ პოულობს. იგივე ითქმის კიბერდანაშაულზეც – მსოფლიოს მასშტაბით, არაერთი ჰაკერული დაჯგუფებაა, რომელიც მილიონებს იპარავს და უკვალოდ ქრება. სხვა დანაშაულებზე კი ასეთი სიზუსტით გათვლა ძნელია და შესაბამისად, სამართალდამცავებსაც მუშაობა უადვილდებათ. ასე იყო ადრეც და ასეა ახლაც.

ვინ მოკლა ცოლ-ქმარი და ცოლის საყვარელი

„მკვლელობის განყოფილებას თავისი სპეციფიკა აქვს. როცა გეუბნებიან, რომ გვამია, ერთგვარი შიშითაც კი მიდიხარ, შენი ნაცნობი, მეგობარი, ან სულაც, ნათესავი არ იყოს. როცა გვამი უცხოა, უკვე იმაზე ფიქრობ, რამდენად სწრაფადაა შესაძლებელი საქმის გახსნა. თუ საქმე მარტივია, ეგოისტურად გიხარია, მით უმეტეს, თუ ცხელ კვალზე გახსენი. მოკლედ, ყველას თავისი სპეციფიკა აქვს, ამიტომ როცა ერთ-ერთი უბნის რწმუნებულმა დარეკა და თქვა, რომ ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა მოხდა, შემთხვევის ადგილზე მშვიდად გავედი. მშვიდად იმიტომ, რომ პირადად მე, საეჭვიანო არავისზე მქონდა, თან იმ უბანში ისეთიც არავინ ცხოვრობდა, რომ მენერვიულა, თუმცა ადგილზე მისულს, სამი გვამი დამხვდა და ძალიან, ძალიან მეწყინა. ერთ წამში წასული სამი სიცოცხლე და რისთვის?..

ლოგინში მოკლული ქალი და კაცი, 30 წლისაც ვერ იქნებოდნენ, საძინებლის კართან კი, სავარაუდოდ, ამ მკვლელობის ჩამდენი და შემდეგ, საფეთქელში მიბჯენით მკვდარი კაცი, 50 წლამდე იქნებოდა. ყველაფერი, ერთი შეხედვით, ძალიან მარტივად ჩანდა – ასაკოვანმა კაცმა, ახალგაზრდა ცოლს საყვარელთან მიუსწრო, ჯერ ისინი დახოცა, შემდეგ კი, აფექტის მდგომარეობაში მყოფმა, თავი მოიკლა“, – იხსენებს ერთ-ერთ, ყველაზე ბურუსით მოცულ მკვლელობას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გარდაცვლილები ოჯახის უფროსის ძმამ იპოვა, რომელიც გვერდით კორპუსში ცხოვრობდა – საქმეზე გამოვიდა, კარი ღია დახვდა და შიგნით შესულს, საზარელი სურათი გადაეშალა. ძმამ კი თქვა, ეჭვი მქონდა, ცოლი რომ ღალატობდა, მაგრამ იმას რას წარმოვიდგენდი, საყვარელი სახლში თუ მოჰყავდაო.

გვამები ექსპერტიზაზე გადაასვენეს, მეორე დილით კი გამოძიებას ორი ცუდი ამბავი ელოდა.

„ჯერ ექსპერტი მოვიდა და მაგიდაზე დასკვნა დადო – საყვარლები, ოჯახის უფროსის გარდაცვალებამდე, ორი-სამი საათით ადრე გარდაიცვალნენო. შემდეგ, გარდაცვლილის ძმა მოვიდა, რომელიც იმ დღეს, თავის თავს არ ჰგავდა და დაბეჯითებით თქვა – ჩემი ძმის სახლიდან ოქროულობა და ოქროს პორტსიგარია დაკარგულიო. ამასობაში, ისიც გაირკვა, რომ ასაკოვანი კაცი, საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი საამქროს მმართველის მოადგილე იყო. მოკლედ, დასახურად გამზადებული საქმე, განსაკუთრებული მნიშვნელობის გამოძიებად იქცა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

როგორც გამოძიებამ გაარკვია, იმ დღეს, როცა დარეკეს და მოადგილე იკითხეს, საამქროში თათბირი იყო. მან სულ 10 წამი ისაუბრა ტელეფონზე და საკმაოდ აღელვებულმა თქვა, დაკითხვაზე მიბარებენო. ეს არავის გაჰკვირვებია, რადგან საამქროში რევიზია იყო შესული, „ობეხეც“ ჩართული იყო და მოადგილეს, რომელსაც მატერიალური მიმართულება ებარა, საკმაოზე მეტად აჯანჯღარებდნენ. ის დაკითხვაზე სამსახურის მანქანით, მძღოლთან ერთად გაემგზავრა, თუმცა მძღოლის დაკითხვისას გაირკვა, რომ მოადგილემ სახლამდე მიყვანა უბრძანა და უთხრა, ხმა არსად ამოეღო. აბა, „ხაზეინის“ წინააღმდეგ, მძღოლი როგორ წავიდოდა?! შესაბამისმა ორგანოებმა ისიც გაარკვიეს, რომ გარდაცვლილთან, „შესაბამისი უწყებებიდან“, არავის დაურეკავს და ზარი ქუჩის ტელეფონიდან განხორციელდა. ტელეფონი სკვერში იდგა და ამ სკვერს, ძირითადად, ორსული ქალები და მეძუძური დედები სტუმრობდნენ, რადგან მუდმივად სიმშვიდე იყო. ქალებმა ვერ გაიხსენეს, ვინ დარეკა იმ დღეს ტელეფონიდან, ყურადღება არ მიუქცევიათ, თუმცა ის კი თქვეს, ეს ტელეფონი თუ მუშაობს, არც ვიცით, არასდროს, არავის გამოუყენებიაო. სამაგიეროდ, ორი მოხუცი, რომელიც იმავე სკვერში, ყოველდღიურად ჭადრაკს თამაშობდა, უფრო დაკვირვებულები აღმოჩდნენ და თქვეს, რომ ტელეფონით ძალიან კულტურულმა ადამიანმა ისარგებლა, დარეკა, ცოტა ხანს ისაუბრა, შემდეგ კი ციფერბლატი და ყურმილი ცხვირსახოცით გაწმინდაო. ცხადი გახდა, დამრეკავმა თითის ანაბეჭდები გააქრო.

გამოძიებას ეჭვი გაუჩნდა, რომ შესაძლებელი იყო, მკვლელობაში საამქროს დირექტორის ხელი ერია, რომელიც ყველა დარღვევას გარდაცვლილს მარტივად დააბრალებდა, თუმცა როცა გამოძიება დეტალებში შევიდა, გაარკვია, რომ დირექტორს ორი მიზეზის გამო, არაფერი ემუქრებოდა. პირველი მიზეზი ის იყო, რომ მატერიალურ საკითხებზე ყველა დოკუმენტს, ხელს მოადგილე აწერდა და შესაბამისად, პასუხისმგებელიც ის იყო და მეორე, დირექტორის ცოლის ძმა მაღალ პარტიულ თანამდებობაზე მუშაობდა და ასე მარტივად ვერ გაწირავდნენ.

შემოწმება საამქროში მას შემდეგ შევიდა, რაც საწარმოს კუთვნილი სატვირთო ავტომანქანა „გაიშნიკებმა“ გააჩერეს, საბუთები შეამოწმეს და ნახეს, რომ დოკუმენტების მიხედვით, ჯართი მიჰქონდათ, რეალურად კი, მანქანაში სპილენძის დიდი ზომის, ძვირადღირებული ფირფიტები იყო. საწყობს მოადგილის უახლოესი მეგობრის შვილი მართავდა, რომელსაც გარდაცვლილი ბოლომდე ენდობოდა და დარწმუნებული იყო, რომ არ „ჩაუშვებდა“.

დაკითხვაზე საწყობის გამგემ ხელი გარდაცვლილისკენ გაიშვირა, მე რა შუაში ვარ, რასაც მეუბნებოდა, იმას ვაკეთებდიო.

დრო გავიდა, მაგრამ საქმემ წინ ვერ წაიწია. არც მოპარული ოქროული ჩანდა სადმე, არც – კვალი. ისე გამოდიოდა, რომ მკვლელმა ყველაფერი იდეალურად გათვალა და სამართალდამცავებს ექსპერტიზა ზერელედ რომ გაეკეთებინათ, მკვლელობაზე საქმეც არ აღიძვრებოდა. სწორედ მაშინ, როცა გამოძიებამ, ლამის ხელი ჩაიქნია და ხელმძღვანელობის მხრიდან დიდი ზეწოლის მიუხედავად, საქმე გაუხსნელთა სიას უნდა შემატებოდა, სამართალდამცავებს ძაფის კიდევ ერთი და სავარაუდოდ, ბოლო ნაწილი შერჩათ ხელთ და სწორედ მას უნდა მიჰყოლოდნენ.

„შემთხვევის ადგილზე კიდევ ერთხელ გავედი. ვიფიქრე, იქნება რამე გამომრჩა-მეთქი და სახლი გარდაცვლილის ძმასთან ერთად დავათვალიერე. წიგნების კარადის წინ, როგორც სხვა ოჯახებში, სურათი იდო – სახლის პატრონი ვიღაც კაცსა და საწყობის გამგესთან ერთად იყო აღბეჭდილი. როგორც ძმამ მთხრა, სურათში მესამე სწორედ იმ გამგის მამა იყო, რომელიც მას შემდეგ, რაც შვილი სამსახურში მოაწყო, მალევე გარდაიცვალა, თუმცა მანამდე, მადლიერების ნიშნად, მის ძმას, სწორედ ის ოქროს პორტსიგარი აჩუქა, რომელიც გაქრა. არცთუ იშვიათად ხდება, რომ ადამიანებს რაღაც ნივთების მიმართ, საჭიროზე მეტი სენტიმენტები აქვთ, ამიტომ გადავწყვიტე, საწყობის გამგის სახლი გამეჩხრიკა. რეალურად, საფუძველი არ მქონდა, მაგრამ არც სხვა ეჭვმიტანილი მყავდა და საქმის სერიოზულობიდან გამომდინარე, პროკურორმა სანქცია მომცა, იქნებ, რამე იპოვნოო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ჩხრეკის შედეგად, სამართალდამცავებმა, სწორედ ის დაკარგული პორტსიგარი და ოქროულობის ნაწილი იპოვეს. ახლა მთავარი ის იყო, გაერკვიათ, რის გამო გაიმეტა მამამისის მეგობარი კაცმა, რომელიც მსუყე ადგილზე მოაწყვეს და შვილივით ექცეოდნენ.

„ყველაფერი ძალიან კარგად მიდიოდა. როცა მამაჩემმა მუშაობა დამაწყებინა, ამოვისუნთქე. გარდაცვლილიც კარგად მექცეოდა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ თუ რამე მოხდებოდა, ხელს მე შემაწმენდნენ. დირექტორს მატერიალურ პასუხისმგებლად მოადგილე ჰყავდა, მოადგილეს – მე ანუ დირექტორიც სუფთა გამოდიოდა და მოადგილეც, წილს კი ორივე იღებდა. ფული შემდეგი სქემით ნაწილდებოდა: 50% – დირექტორს, 40% – მოადგილეს და მხოლოდ 10% – მე, მაგრამ ის ათიც საკმარისი იყო, ათასებზეა საუბარი. როცა სპილენძის ფირფიტები დააკავეს, მოადგილესთან მივედი და უცხოსავით მელაპარაკა, მე არაფერი ვიციო. არადა, მისი მითითებით გამქონდა. გადავწყვიტე, მკვლელობა ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა, დირექტორი ჩემამდე არ ჩამოვიდოდა, ხელს მას შეაწმენდდა. ვიცოდი, ცოლს რომ საყვარელი ჰყავდა და ყველაფერი ისე მოვაწყვე, როგორც დაგეგმილი მქონდა. ჯერ ისინი დავხოცე, შემდეგ დავრეკე მოადგილესთან და სახლში მივიტყუე. რომ შემოვიდა, ნანახით გაოგნდა და საფეთქელში სწორედ მაშინ ვესროლე. შემდეგ იარაღი დავაჭერინე ხელში და უმისამართოდ გავასროლინე, დენთის კვალი რომ ჰქონოდა თითებზე. მეგონა, ყველაფერი იდეალურად იყო, თუმცა პორტსიგარი და ოქროულობა ხელს მაინც გამოვაყოლე. ჯერ ერთი, ორი იმდენი ოქროული კიდევ იქ დარჩა და არ მეგონა, თუ პორტსიგარს ვინმე ყურადღებას მიაქცევდა“, – ასეთია საწყობის გამგის აღიარებითი ჩვენება.

სასამართლომ სამი ადამიანის განზრახ მკვლელობისა და სახელმწიფო ქონების განიავებისთვის, მსჯავრდებულს სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა შეუფარდა.

სერიული მკვლელობები მტკვრის სანაპიროზე

ბათო ჯაფარიძე

პალეოლითი – ძველი ქვის ხანა ანუ პერიოდი, როცა შრომისა და საბრძოლო იარაღი, უმთავრესად, ქვისგან იქმნებოდა, მაგრამ გამოიყენებოდა ძვალი და ხეც. მას შემდეგ ასწლეულები გავიდა, მაგრამ ქვას ბევრისთვის მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავს – როგორც სამუშაო, ასევე, „სანადირო" იარაღად იყენებენ.

ქრთამი მოსამართლეს ბოშების ბარონისგან

„გაზაფხულის თბილი საღამო იყო და სამსახურში შემოვრჩი. ვიფიქრე, სახლამდე ფეხით გავისეირნებ-მეთქი, იმდენად მონატრებული მქონდა ქუჩაში გასვლა. შებინდდა და ის იყო, კაბინეტის კარი გამოვიხურე, მორიგე შემომეფეთა, დარეკეს, სანაპიროზე მკვლელობაა. რა უნდა მექნა? – მძღოლი, რომელიც ბედნიერი სახით მელოდებოდა, რადგან იცოდა, დღეს ადრე მოუწევდა შინ წასვლა, ჩემსავით მოიღუშა და მტკვრის სანაპიროს მანქანით ერთად გავუყევით. ადგილზე რამდენიმე სამართალდამცავი, სასწრაფოს მანქანა და ოცამდე ცნობისმოყვარე დამხვდა. მკვლელი იქვე რომ დამეკავებინა, ალბათ, ტყვიას დავახლიდი, ისე ვიყავი გაბრაზებული, დასვენება რომ საქმეში გადამივიდა", – გვიყვება მორიგ საინტერესო ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გარდაცვლილი 30-32 წლის ახალგაზრდა კაცი იყო, თავში რაღაც ბლაგვი საგანი ჰქონდა ჩარტყმული და წინასწარი დათვალიერებით, ჯიბეები – დაცარიელებული, თითიდან ბეჭედი ჰქონდა მოხსნილი, ყელზე კი შეწყვეტილი ძეწკვის კვალი ეტყობოდა. მისი ვინაობაც მალე დადგინდა – ერთ-ერთი საწარმოს რიგითი მუშა, რომელიც სამუშაოს შემდეგ, შინ ბრუნდებოდა.

რატომ და რისთვის მოკლეს, ცოლს წარმოდგენა არ ჰქონდა და მისი სანაცნობოს გამოკითხვამაც აჩვენა, რომ მტრები არ ჰყავდა. უფრო მეტიც, ხელიდან წამძვრალი ბეჭედი მის მიერვე, ჩვეულებრივი ქანჩისგან იყო გაკეთებული. ცოლ-ქმარს იმდენად უჭირდა, რომ ძვირფასი მეტალისთვის ფული არ ჰქონდა და ამიტომ, ქმარმა სიყვარულისა და ერთგულების ნიშნად, ორი ცალი „ბოლტი" გაალამაზა, გააპრიალა, ერთი თავად გაიკეთა, მეორე ცოლს მისცა.

ყელზე შეწყვეტილი ძეწკვიც ჩვეულებრივი უჟანგავი ფოლადის მავთულისგან იყო აწყობილი. ცოლის მტკიცებით, ქმარს ჯიბეში, მაქსიმუმ, 3 მანეთი შეიძლებოდა ჰქონოდა. მაშინ რატომ მოკლეს, ვინ მოკლა და რაც მთავარია, რა იყო მკვლელობის იარაღი? – ექსპერტიზის ვარაუდით, გარდაცვლილს უკნიდან მიეპარნენ, თავში ქვა ჩაარტყეს, შემდეგ გაქურდეს, ქვა კი, უბრალოდ, მტკვარში მოისროლეს. იმ ადგილზე, მტკვარში რაიმეს ძებნას აზრი არ ჰქონდა. ჯერ ერთი, მტკვრის ფსკერი ისედაც ქვიანია და მეორეც – წყალი ყველაფერს წაშლიდა.

მომხდარიდან ორ დღეში, ისევ სანაპიროზე, ახალი თავდასხმა მოხდა. ამჯერად, სამსახურში მიმავალ მოხუცს ჩაარტყეს თავში ბლაგვი საგანი. კაცი ერთ-ერთ ობიექტში დარაჯი იყო და საბედნიეროდ, გადარჩა, თუმცა ტვინის შერყევით, საავადმყოფოში მოხვდა. მან გამოძიებას საერთოდ ვერაფერი უთხრა. ჩვეული გზით მიდიოდა, მოულოდნელად, თავის არეში დარტყმა იგრძნო, გონზე კი საავადმყოფოში მოვიდა. ვინ დაარტყა, რა დაარტყა და რატომ, წარმოდგენა არ ჰქონდა. თავდამსხმელებმა ვერაფერი წაიღეს, რადგან კაცი ახლოს ცხოვრობდა და სამსახურში წასასვლელად, ტრანსპორტი არ სჭირდებოდა. შესაბამისად, ჯიბეში ფული არ ედო, საგზლად წაღებული ნახევარი პური, 2 ცალი კვერცხი, ძეხვის ნაჭერი და მწვანილი კი იმ ადგილზე ეგდო, სადაც თავდასხმა მოხდა, თუმცა სამართალდამცავებმა ყურადღება იმასაც მიაქციეს, რომ მოხუცის შარვლის ჯიბეები ამობრუნებული იყო ანუ თავდამსხმელები ფულს ეძებდნენ.

„იცით, რა იყო ყველაზე ცუდი ჩვენს საქმეში? – უმკაცრესი მითითება გახლდათ, რომ სერიული დანაშაულების შესახებ, ხმამაღლა არ გვეთქვა ანუ საბჭოთა კავშირში არ არსებობდნენ სერიული მკვლელები, სერიული მოძალადეები, სერიული მძარცველები. ამის შესახებ, შეგვეძლო ერთმანეთში გვესაუბრა და არა – თათბირზე და მით უმეტეს, უფლება არ გვქონდა, ეს ტერმინი ოფიციალურ საქმეში შეგვეტანა. არადა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმე სერიულ ძარცვასთან გვქონდა, რომელთაგან ერთი, სიკვდილით დასრულდა, თუმცა, რატომ ერთი? მოხუცზე თავდასხმიდან მესამე დღეს, მორიგი თავდასხმა გვქონდა და მორიგი მსხვერპლიც გვყავდა", – იხსენებს ბატონი თენგიზი.

თამდასხმა, ამჯერად, უშუალოდ სანაპიროზე არა, მაგრამ გზის მეორე მხარეს მოხდა. გარდაცვლილი იყო ახალგაზრდა, 19 წლის ბიჭი, რომელსაც თუ რამ ჰქონდა, ყველაფერი ამოაცალეს. მკვლელის ხელწერა იგივე – თავში ბლაგვი საგანი, მკვლელობის იარაღი, სავარაუდოდ, ისევ ქვა, რომელიც ექსპერტ-კრიმინალისტებმა ვერც ამჯერად ნახეს.

გაჩნდა ვარაუდი, რომ მკვლელი, მტკვრის სანაპიროს შეგნებულად არჩევდა, რადგან მკვლელობის იარაღი მოეცილებინა. სავარაუდოდ, ის საშუალოზე მაღალი უნდა ყოფილიყო, რადგან თუ პირველ ორ შემთხვევაში, მსხვერპლი საშუალო ტანის იყო, მესამე შემთხვევაში, ბიჭის სიმაღლე 180 სანტიმეტრზე მეტი გახლდათ, დარტყმა კი მაინც ზემოდან ქვემოთ განხორციელდა, რასაც საშუალო ტანის კაცი ვერ მოახერხებდა.

ოპერმუშაკებმა სანაპიროზე პატრულირება დაიწყეს, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილები, წინ და უკან დადიოდნენ, მაგრამ ჯერ ერთი, არც იმხელა რესურსი ჰქონდა თბილისის მილიციას, მთელი სანაპირო გაეკონტროლებინა და მეორეც, ამ საქმის გარდა, სხვაც იყო გასაკეთებელი.

„ერთი თანამშრომელი გვყავდა, მაგარი მუშა ბიჭი იყო, რომელიც ტვინითა და გამჭრიახობით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ თუ საქმეზე მიუშვებდი, აუხსნიდი, რა უნდა ექნა, მოკვდებოდა და გააკეთებდა. ხანდახან, წელიწადში ან ორ წელიწადში ერთხელ, ნამდვილად ჭკვიანურ რამეს ამბობდა, თან ისეთ მარტივსა და გენიალურს, გაოცებას ვერ ვმალავდით. ჰოდა, ამ საქმეზეც ისეთი რამ თქვა, გამოცდილმა მაძებრებმა ერთმანეთს გადავხედეთ და პირი დავაღეთ. მოკლედ, საქმის მასალებს ფურცლავდა, მგონი, კითხვაც კი არ იცოდა კარგად და იმ ბეჭედს ჩააშტერდა, რომელიც პირველ მსხვერპლს შეხსნეს. მისი ზუსტი ასლი ცოლს ჰქონდა და სურათი სწორედ ცოლის ბეჭედს გადავუღეთ. უყურებს ეს ჩემი ცოდვით სავსე ამ „ბოლტისგან" დამზადებულ ნაკეთობას და რაღაცას ფიქრობს, თან თავისი ქორწინების ბეჭედს დაჰყურებს. უცებ, თითი აღმართა ჰაერში და მკაფიოდ წარმოსთქვა – მკვლელს წარმოდგენა არ აქვს მეტალზე ანუ არ იცის, საქმე ვერცხლთან აქვს, ოქროსთან თუ ჯართთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითიდან წამძვრალ ბეჭედს აუცილებლად მიიტანდა სადმე, რომ გაეყიდა და აუცილებლად დასცინებდნენ, ამიტომ ის ოქრომჭედლები უნდა მოვინახულოთ, რომლებიც ვიცით, რომ მოპარულის ყიდვაზე უარს არ ამბობენო. ეს თქვა და შიშით გადმოგვხედა, არ დამცინონო, მაგრამ რა დაცინვა, იდეა ყველას მოგვეწონა", – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ოპერმუშაკები პირველად მოკლული მამაკაცის ცოლთან წავიდნენ და ბეჭედი ითხოვეს, შემდეგ კი ოქრომჭედლებს ჩამოუარეს. ბეჭედი სამმა მათგანმა ამოიცნო, ვიღაც ბოშა ჯერ ძვირს აფასებდა, ბოლოს, 5 მანეთადაც კი ჰყიდდა, მაგრამ მასეთი „ბოლტი" ორი კაპიკი ღირს მაღაზიაშიო. უფრო კონკრეტულად კი, ერთ-ერთმა ოქრომჭედელმა მიუთითა, ეგ ის ბიჭია, ადრე მოტოციკლის ქურდობაზე რომ გყავდათ დაკავებულიო. სამართალდამცავებმა დამნაშავის ვინაობა კი იცოდნენ, მაგრამ ისიც იცოდნენ, ლოტკინის გორაზე, სადაც მკვლელი ცხოვრობდა, მას ბევრი ნათესავი და ქომაგი ჰყავდა, ამიტომ მილიციას მკვლელის მშვიდად აყვანა გაუჭირდებოდა. შესაბამისად, გადაწყდა, მისთვის ეთვალთვალათ და როგორც კი უბანს მოსცილდებოდა, აეყვანათ. დიდხანს ცდა არ დასჭირდათ, იმავე საღამოს, ბიჭი მშვიდად დაეშვა გადასასვლელი ხიდისკენ და ოპერმუშაკებს ბრძანებაც შეუცვალეს – არ დააკავოთ, მხოლოდ უთვალთვალეთო. არსებობდა ვარაუდი, რომ შესაძლოა, ის ახალ საქმეზე წასულიყო და ცხელ კვალზე აყვანას, სხვა პეწი ექნებოდა.

ბოშამ გზად მოზრდილი ქვა შეარჩია, ქურთუკის უბეში ამოიდო და მშვიდად ჩაუყვა გზას ჩელუსკინელების ხიდისკენ. სამართალდამცავები მოშორებით მიჰყვებოდნენ, ისე, რომ არ დაეფრთხოთ. ამ სიფრთხილეს, ლამის მორიგი მსხვერპლი მოჰყვა – სანაპიროზე ჩასული ბოშა, მოულოდნელად, პირველივე შემხვედრს მიუტრიალდა, უბიდან ქვა გამოაძრო, მაღლა შემართა და მხოლოდ ოპერმუშაკების შეყვირების შემდეგ მოიქნია ხელი მტკვრის მიმართულებით. ქვა მდინარემ შთანთქა, ბოშა კი მშვიდად მიეყუდა მოაჯირს და სამართალდამცავებს გაოცებით ჰკითხა, რისთვის მიჭერთო?!

„მაშინ, როცა ყველა დახვრეტის მუხლს ველოდებოდით, სასამართლომ მხოლოდ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. არ ვიცი, შეიძლება ვცოდავ, მაგრამ ამბობდნენ, მოსამართლეს იმ ბიჭის წონა ფული მიუტანეს ბოშებმაო. მაგათი ბარონის დის შვილი იყო და ამიტომ გაუფრთხილდნენო. არ ვიცი, ვერ ვიტყვი ბოლომდე, მართლა აიღო თუ არა მოსამართლემ ფული, მაგრამ ფაქტია – პროკურორს არ აუღია, რადგან დახვრეტა მოითხოვა, სასამართლომ კი, გაუფრთხილებლობით მკვლელობა იყო, მხოლოდ გაძარცვა სურდაო და 8 წელი „დააჩაქუჩა", – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

ვახტანგ გომელაურმა პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფორმატში, სამინისტროს ანგარიში წარადგინა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა პარლამენტში, პლენარულ სხდომაზე, „მინისტრის საათის“ ფორმატში, სამინისტროს მიერ გაწეული და სამომავლოდ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ისაუბრა. სიტყვით გამოსვლისას, მინისტრმა ვრცლად მიმოიხილა მიმდინარე საკითხები, შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები და პროექტები.

დასასრულს, შინაგან საქმეთა მინისტრმა პოლიციის თანამშრომლებს მადლობა გადაუხადა.

კახეთის პოლიციამ დამამძიმებელ გარემოებაში ოჯახის სამი წევრის განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ერთი პირი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტისა და თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თელავში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნეს. ოჯახის სამი წევრის მიმართ, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით, დაკავებულია 1993 წელს დაბადებული ა.ა.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, თავის სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი პისტოლეტიდან გასროლით, სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა 1960 წელს დაბადებულ მამას, 1963 წელს დაბადებულ დედას და 1935 წელს დაბადებულ ბებიას, რის შემდეგაც, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ ა.ა., მომხდარიდან რამდენიმე საათში, თელავში დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – პისტოლეტი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა-109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტითა და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ასევე, 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ოჯახის სამი წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებას გულისხმობს.

ნინო ცაციაშვილმა ქალთა გაძლიერების ფორუმში მონაწილეობა მიიღო



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნინო ცაციაშვილმა, მონაწილეობა მიიღო ღონისძიებაში „ქალთა გაძლიერების ფორუმი 2021“.

ქალთა გაძლიერების ფორუმი USAID/PROLOG-ის ორგანიზებითა და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობით ჩატარდა.

ნინო ცაციაშვილმა ფორუმზე აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პრიორიტეტულია, როგორც ქალთა უფლებების, ასევე, ქალების გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისგან დაცვა. მინისტრის მოადგილემ, სამინისტროს მიერ, ამ მიმართულებით მიღწეულ პროგრესსა და გამოწვევებზე ისაუბრა.

ნინო ცაციაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ქალთა უფლებებს და ამ მხრივ არსებულ გამოწვევებს უკავშირდება ისეთი აქტუალური თემები, როგორებიცაა: ოჯახში ძალადობა, ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით განხორციელებული ძალადობა, სექსუალური შევიწროება, ბავშვობის ასაკში ქორწინება, რაც წარმოადგენს ქალებისა და გოგონების უფლებების სერიოზულ დარღვევას.

ნინო ცაციაშვილმა, ამ მხრივ, პოლიციისადმი მიმართვიანობის ტენდენციებსა და საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებებში მონაწილეობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მან ყურადღება გაამახვილა სამინისტროს როლზეც და აღნიშნა, რომ მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, უწყებამ უნდა შეძლოს და ეფექტიანად დაიცვას ქალთა უფლებები.

მინისტრის მოადგილემ ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილა სამართალდამცველთა კვალიფიკაციის გაძლიერებაზე, ამ მიზნით ჩატარებულ და მიმდინარე სწავლებებზე.

ნინო ცაციაშვილმა მადლობა გადაუხადა ყველა იმ პარტნიორ და დონორ ორგანიზაციას, რომლებთან თანამშრომლობის შედეგადაც, სამართალდამცველმა სისტემამ ხელშესახებ პროგრესს მიაღწია.

შსს-ს მომსახურების სააგენტოში, სატრანსპორტო საშუალების დათვალიერებისა და საექსპერტო შემოწმებისთვის განკუთვნილი ახალი შენობა გაიხსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს რუსთავის ცენტრალური დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, სატრანსპორტო საშუალების დათვალიერებისა და საექსპერტო შემოწმებისთვის განკუთვნილი ახალი შენობის მშენებლობა დასრულდა და ექსპლუატაციაში შევიდა.

დღეიდან, სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება და საექსპერტო შემოწმება ახალ, თანამედროვე სტანდარტის შესაბამის შენობაში განხორციელდება. სერვისი სრულად არის მორგებული მოქალაქეთა კომფორტულ და სწრაფ მომსახურებაზე.

შენობა დაყოფილია 12 გამტარ პუნქტად და დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ, მსუბუქი სატრანსპორტო საშუალების დათვალიერებისა და საექსპერტო შემოწმებისთვის, შესაბამის პუნქტებში გადანაწილდნენ. ასევე, ცალკე გამოიყო სატვირთო ავტომობილების დასათვალიერებელი 2 გამტარი პუნქტი.

აღნიშნული მომსახურების ფარგლებში, აღსანიშნავია, რომ სერვისის მიღების მსურველი ადგილზე, მანქანიდან გადმოუსვლელად მიიღებს დათვალიერებისა და საექსპერტო შემოწმების აქტს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში დაგეგმილი და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, სერვისების გაუმჯობესების მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

შსს-მ იმერეთში პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ვანის რაიონული სამმართველოს და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული გ.მ. ვანში დააკავეს. მას ბრალად სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, პოლიციელზე თავდასხმა ედება.

დანაშაული 7-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მიმდინარე წლის 5 მარტს, ვანის რაიონულ სამმართველოში შევიდა შეტყობინება, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მამაკაცი თავის მოკვლას აპირებდა. სამართალდამცველებმა მიღებულ შეტყობინებაზე მყისიერი რეაგირება მოახდინეს და დაუყოვნებლივ მივიდნენ შემთხვევის ადგილზე. სანადირო თოფით შეიარაღებულმა გ.მ.-მ., რომელიც თავის მოკვლას აპირებდა, პოლიციელების დანახვისთანავე, მათი მიმართულებით, რამდენიმე გასროლა განახორციელა, რის შედეგადაც დაიჭრა ვანის რაიონული სამმართველოს თანამშრომელი.

დაჭრილი პოლიციელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც მას შესაბამისი დახმარება აღმოუჩინეს. სამართალდამცველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. პოლიციამ ბრალდებული შემთხვევის ადგილზე დააკავა, დანაშაულის ჩადენის იარაღი კი ნივთმტკიცებად ამოიღო. სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, პოლიციელზე თავდასხმის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 353-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

აბუსერიძე მორაგბეებს: „სულში გვაფურთხებენ!“

10 მარტს, ქართულ სპორტში კიდევ ერთი ცხელი დღე იქნება – რაგბის კავშირის საპრეზიდენტო არჩევნები დიდუბეში შედგება და აქედანვე ჩანს, რომ არჩევნები ხმაურის ფონზე ჩაივლის. პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, ირაკლი აბუსერიძემ სოციალურ ქსელში, თავის ოფიციალურ გვერდზე, შემდეგი შინაარსის წერილი გაავრცელა:

„ოთხშაბათს, ტყემალაძის დაცვა, სამი სარაგბო კლუბის მაგივრად მისცემს ხმას არჩევნებზე! სულში გვაფურთხებენ! მშენებლის დაცვა, სამი სარაგბო კლუბის ნაცვლად დასვამს ხელმოწერას და ქართულ რაგბს განაჩენს გამოუტანს! თუ გიყვართ რაგბი, გტკივათ რაგბი, ერთხელ მაინც დაგიკრავთ ტაში „ბორჯღალოსნებისთვის“, თავად ხართ მორაგბე, გულშემატკივარი, თუ უბრალოდ მოქალაქე, ვისაც ქართული სარაგბო წარმატებით ერთხელ მაინც უამაყია – გამოდით! გამოდით და გვერდზე დაგვიდექით, სანამ რაგბის მომავლის კარი საბოლოოდ ამოგვიშენეს!

ეს არ არის მოწოდება, ეს არის ჩემი, მორაგბე ირაკლი აბუსერიძისა და ჩემი თანამებრძოლი მორაგბეების თხოვნა. ჩვენ მთელი ცხოვრება შევწირეთ ქართულ რაგბს და ქართველ გულშემატკივარს და ახლა, ამ გადამწყვეტ შერკინებაში, გადამწყვეტი გამარჯვებისთვის, ყველაზე მეტად თქვენი ძალა გვჭირდება!

ვისაც მოგწვდათ ჩვენი ხმა, ოთხშაბათს, 10 მარტს, 12.00 საათზე, დიდუბის გამოფენასთან შეგხვდებით. წარმატების ერთადერთი გზა თავისუფლებაა და თავისუფლება რაგბის ხვედრია!“

მოკლედ, 10 მარტს, მორაგბეები ახალ პრეზიდენტს ირჩევენ!

პელემ მემკვიდრე დაასახელა

მსოფლიო ფეხბურთის მეფედ აღიარებულმა, ედსონ არანტეს დო ნასიმენტუმ ანუ უბრალოდ, პელემ, თავისი მემკვიდრე დაასახელა. ყველას ეგონა, რომ ლეგენდარული ბრაზილიელი, ლიონელ მესის ან კრიშტიანუ რონალდუს სახელსა და გვარს იტყოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად – მისი რჩეული, კილიან მბაპეა.

„მბაპეში საკუთარ თავს ვხედავ. მას ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ ყველა დროის საუკეთესო გახდეს. 20 წლის ასაკში, ის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და მომავალი წინ აქვს“, – განაცხადა პელემ.

პ.ს. მარადონას გულშემატკივართა საყურადღებოდ: დიეგო ფეხბურთის მეფედ არ არის აღიარებული, ის ფეხბურთის ღმერთია.

ბორჯღალოსნებმა მოიგეს, მაგრამ...

2021 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის, 2023 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ორწლიანი ციკლის პირველი მატჩი, საქართველომ პორტუგალიის წინააღმდეგ გამართა. ლევან მაისაშვილის შეგირდებმა პირველი ნახევარი 10:13 დათმეს და მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს გარდატეხის შეტანა. საბოლოოდ, ჩვენმა გუნდმა 29:16 იმარჯვა, მაგრამ ნამატჩევს, გულშემატკივრებიც, მწვრთნელიცა და მორაგბეებიც აღნიშნავდნენ, რომ ეს შეხვედრა ჩვენს აქტივში ნამდვილად ვერ ჩაიწერება. ნაკრებმა ბევრი ისეთი შეცდომა დაუშვა, რასაც პორტუგალიაზე ოდნავ მაღალი კლასის მქონე გუნდი, უბრალოდ, არ აპატიებდა და დიდი ანგარიშითაც დაამარცხებდა. თან, ყველაფერი ეს, იმ პირობებში, როცა 14 მარტს, ესპანეთთან გვიწევს გასვლითი მატჩი, 20 მარტს კი, რუსეთს ვსტუმრობთ.

პირველ ტურში, რუსეთმა საკმაოდ ძლიერი რუმინეთს ნაკრები, საკუთარ მოედანზე, 18:13 დაამარცხა, მეორე ტურში ისვენებს და მთელ კონცენტრაციას, სწორედ 20 მარტსა და საქართველოს ნაკრებთან მატჩზე ახდენს.

ჩვენ ბასილაშვილზე ვოელავთ, დანარჩენი მსოფლიო – ფედერერზე

დოჰაში გასამართი საჩოგბურთო ტურნირი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა, ტრავმით გამოწვეული, ლამის ერთწლიანი უქმობის შემდეგ, კორტს ლეგენდარული შვეიცარიელი, როჯერ ფედერერი უბრუნდება. როჯერმა თავადაც აღიარა, რომ ძალიან ნერვიულობს და შეეცდება, რაც შეიძლება, მეტი შეხვედრა მოიგოს.

აი, ჩვენი სანერვიულო კი ნიკოლოზ ბასილაშვილია, რომელიც ამავე ტურნირში მონაწილეობს. პირადი პრობლემების შემდეგ, ნიკამ ვერაფრით შეძლო ჩვეული ფორმის აღდგენა და თითოეული თამაშის მოგება, ლამის გადაუჭრელ პრობლემად ექცა. ბოლო ხუთი შეხვედრიდან, ბასილაშვილმა ხუთივე წააგო და ახლა სასწრაფოდ რეაბილიტაცია სჭირდება. დოჰაში მისი პირველი მეტოქე, ჯონ მილმანი იქნება, რომელიც ამჟამად, მსოფლიო რეიტინგის 41-ე ნომერია და 42-ე ადგილზე მყოფ ბასილაშვილს, სულ რაღაც 16 სარეიტინგო ქულით უსწრებს.

სოლსკიაერმა გვარდიოლა გააჩერა

ხოსეპ გვარდიოლას „მანჩესტერ სიტის“ საოცარი სერია ჰქონდა. გუნდმა ბოლო 28 მატჩიდან 21 მოიგო და 7 ფრედ დაასრულა. თუმცა დასასრული ყველაფერს აქვს და ესპანელი სპეციალისტის ტრიუმფალური სვლაც დასრულდა. მანჩესტერულ დერბიში, „იუნაიტედმა“ „სიტი“ 2:0 დაამარცხა და მართალია, მცირედით, მაგრამ პრემიერლიგაში ინტრიგა მაინც დააბრუნა. ახლა პირველ ადგილზე მყოფი „სიტი“, „მანჩესტერს“ 11 ქულით უსწრებს, ჩემპიონატის დასრულებამდე კი 10 ტურია დარჩენილი და უკვე თავად გვარდიოლას გუნდმა უნდა მოინდომოს ოქროს მედლების ხელიდან გაშვება.

ისე, გვარდიოლა კარიერაში, მინიმუმ სამჯერ, 67 მწვრთნელს დაუპირისპირდა და მათ შორის, სოლსკიაერი ერთადერთია, რომელმაც უფრო მეტჯერ დაამარცხა ესპანელი კოლეგა (4), ვიდრე თავად წააგო (3).

ენფილდზე ჯერარდის აჩრდილი გამოჩნდა



ბოლოს, 1953/54 წლებში იყო, ლივერპულმა, ზედიზედ ექვსი საშინაო შეხვედრა რომ წააგო და მაშინ გუნდი უმაღლესი ლიგიდან გავარდა. ახლა კი, იურგენ კლოპის გუნდმა, ლამის ნახევარი საუკუნის წინანდელი ანტირეკორდი გაიმეორა და კვლავ ზედიზედ ექვსი საშინაო მატჩი წააგო. რა თქმა უნდა, პრემიერლიგიდან მერსისაიდელთა გავარდნა გამორიცხულია, რადგან მათ ქულათა საკმარისი მარაგი აქვთ, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ საჩემპიონო ბრძოლას იურგენ კლოპის შეიგრდები ჩამოშორდნენ. ეგ კი არა და, „ლივერპულთან“ ერთად, ყველაფრის მომგებ კლოპს წყალი შეუდგა და როგორც ამბობენ, გერმანელი სპეციალისტი, საუკეთესო შემთხვევაში, „ენფილდის“ ბინადართა თავკაცის პოსტზე, სეზონის ბოლომდე დარჩება.

კითხვას – ვინ შეცვლის კლოპს? – პასუხი გასულ უქმეებზე გაეცა. 10-წლიანი პაუზის შემდეგ, შოტლანდიის ჩემპიონი გლაზგოს „რეინჯერსი“ გახდა. აკრძალვების მიუხედავად, გლაზგოს ქუჩებში, კვირა საღამოს, ათასობით ადამიანი გამოვიდა და საყვარელი კლუბის ჩემპიონობა იზეიმა. ჰოდა, რეინჯერებს მწვრთნელად „ლივერპულის“ ლეგენდარული კაპიტანი, ახლო წარსულში გუნდის უპირობო ლიდერი, სტივენ ჯერარდი ჰყავთ და ინგლისში უკვე ალაპარაკდნენ, რომ „ენფილდზე“, სწორედ ჯერარდს ელიან.

„მწვრთნელობა იმიტომ დავიწყე, რომ ერთ დღეს, „ლივერპულის“ თავკაცი გავხდე“, – ეს სიტყვები სტივენ ჯიმ სამწვრთნელო ლიცენზიის აღების შემდეგ თქვა და ისე ჩანს, ოცნებას მალე აიხდენს.

ყარყატები დაბრუნდნენ

რუბენ ჰოვსეფიანი – ცნობილი სომეხი მწერალი, პროზაიკოსი, დრამატურგი და მთარგმნელი

ერთ დროს მეგონა, რომ გაზაფხული ყარყატებს მოჰქონდათ. ეზოში ვდგებოდი, ტალახიანი თითებით ვუსტვენდი და მათ დაბრუნებას ასე ვესალმებოდი.

პაპაჩემი ამბობდა – გაზაფხული ციდან ვარდება, ღმერთის მოცემულია.

მამაჩემი ამბობდა – წელიწადს ოთხი დრო აქვს: ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული.

დედაჩემი ამბობდა – ისევ გაატალახიანე შარვალი? ფეთხუმი ბიჭი ხარ.

მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ გაზაფხული ყარყატებს მოჰქონდათ.

ორი ყარყატი იყო – მდედრი და მამრი. ჩვენს პატარა ქალაქში, ბამბის გადამამუშავებელი ქარხნის წითელ-წითელ სახურავზე, ყარყატებს კალათის ფორმის ბუდე დაეწნათ. ყოველი გაზაფხულის დასაწყისში, აფრიკიდან თუ რომელიღაც სხვა შორეული ქვეყნიდან, ყარყატები ბრუნდებოდნენ. ქალაქის თავზე ტრიალებდნენ. თავიდან დიდ წრეს აკეთებდნენ, თვალებს ვჭუტავდი, რომ ღრუბლების თეთრ ქაფში ისინი მეპოვნა. შემდეგ წრე პატარავდებოდა, გეგონებოდა, მათ ფეხებზე გამობმულ თოკს, დაბლიდან ვიღაც განუწყვეტლივ ახვევ-ამოკლებდა. შემდეგ ქარხნის თავზე ბუდეს დასტრიალებდნენ და როდესაც სახურავზე სხდებოდნენ, თითქოს ფეხები აღარ ჰქონდათ, რადგან მათი ფეხებიც სახურავივით წითელ-წითელი იყო.

დედა ყარყატი გრძელი ნისკარტით თავის თავს ჩქმეტდა, აჩეჩილ-დამტვერილ ფრთებს ისწორებდა, ხოლო მამრი საქმიანი, მამაკაცური მზერით გარემოს ათვალიერებდა, ზამთრის განმავლობაში, რამე ხომ არ შეცვლილა?

იმ დღიდან, ალუბლისა და გარგარის ტანდაბალი ხეები თეთრად იპენტებოდნენ, შემდეგ ატმის ხეები ნაზი, გამჭვირვალე ყვავილებით ითხაპნებოდნენ. იმ დღიდან, ხიდან ხეზე, ფისის საპოვნელად დავფრინავდი. იმ დღიდან, ქურთის ქალები – „მაწონი, კარგი მაწონი!“ – ბღაოდენ. იმ დღიდან, მეზობელი გოგონები თეთრ ფეხებს შორის გადახლართული წითელი, ყვითელი, ლურჯი წინსაფრებით, ბოსტნეულის ასაღებად მინდორში მიდიოდნენ, ხოლო მთელი ღამეების განმავლობაში კი, მჩხავანა კატები სახურავს კაწრავდნენ. ჩვენი თამაშებიც იწყებოდა, საგაზაფხულო თამაშები:

– კი-კი-და-ნა-კი...

ასე მოდიოდა გაზაფხული. ყარყატებს მოჰქონდათ.

ერთ დღესაც, ვიღაც თოფიანი კაცი, ჯიბეში მონადირეთა კავშირის ბილეთითა და კაკბის მოკვლის დაუოკებელი შეუპოვრობით, ერევნიდან ჩვენს მხარეში ჩამოვიდა. აქეთ ეცა, იქით ეცა – კაკაბი ვერ ნახა. „ტფუი!“ – თქვა ერევნელმა თოფიანმა და შავი წყლის ლერწმიანში შევიდა. იფიქრა: კაკაბი თუ არ არის, ჭირსაც წაუღია, გარეული ბატები ნაკლებად გემრიელი როდია.

ლერწმებმა ქალის კაბის კალთებივით გაიშრიალეს და მონადირემ თოფის ლულა იქით მიუშვირა. ტრაქ-ტრაქ... მივიდა, სისხლი ნახა, უკან გაიქცა და იქამდე ირბინა, ვიდრე შემთხვევითმა სატვირთომ არ აიყვანა. მძღოლი ეუბნება:

– სახეზე ფერი არ გადევს, ძმაო.

ის ხმას არ იღებს. მძღოლმა თოფს ეჭვით შეხედა.

– შენ ხომ არავინ...

– არა, არა... ვიფიქრე, ბატია-მეთქი, მაგრამ... ყარყატი ყოფილა.

– ეჰ, ძმაო, – უთხრა მძღოლმა, – მანქანიდან ახლავე ჩამოგსვამდი, მაგრამ აბა... არა რაა, თოფი ყველამ არ უნდა აიღოს ხელში. თოფის ამღებმა შეცდომა არ უნდა დაუშვას, ძმაო, თუ არა, რა გამოვა?..

დედა ყარყატი დიდხანს უცდიდა. ქარხნის სახურავზე დგებოდა და ნისკარტაპყრობილი ელოდებოდა. ეგონა, რომ საცაა, ჰაერი ნაცნობი ფრთების ფრთხიალით აფრიალდებოდა. შემოდგომაზე წეროები გაფრინდნენ. დედა ყარყატმა ნისკარტის ქნევით გააცილა და თავად კი დარჩა. გამოსაზამთრებლად დარჩა. ჩვენი მეზობელი დედაბრები პირჯვარს იწერდნენ. მსგავსი რამ არ ენახათ.

პაპაჩემი თავისთვის ამბობდა – ყარყატიც ადამიანია. ადამიანივით სიყვარული იცის.

მამაჩემი მონადირეს ლანძღავდა – ბრმა ძაღლიშვილი.

დედაჩემი ყურს მიწევდა – არ გავიგო, რომ ლერწმიანში შეხვიდე. არ გავიგო.

მე კი გაზაფხულზე ვფიქრობდი. დედა ყარყატი თუ არ გაფრინდა, გაზაფხულს სხვა, ვინღა მოიყვანს?

დედა ყარყატმა ბამბის გადამამუშავებელი ქარხნის სახურავზე გამოიზამთრა.

გაზაფხული კი მაინც მოვიდა. მე გაკვირვებული ვიყავი. ისევ გადათეთრებულიყო ალუბლისა და გარგარის ხეები, ისევ ნაზი, გამჭვირვალე ყვავილებით შეღებილიყო ატმის ხეები... თუმცა ფისს უკვე ის გემო აღარ ჰქონდა, გაზაფხულს რაღაც აკლდა.

მამაჩემი სახლში არ იყო, მჭედელი გრიგორი სახლში არ იყო, ბიძია გევორქი და უბნის სხვა მამაკაცებიც – ასევე. დედა ყარყატს კი ზამთრის სიცივისთვის ვეღარ გაეძლო და მომკვდარიყო.

ჩვენი თამაშები უკვე „კიკი-დანაკი“ აღარ იყო, არამედ – ომობანა.

მახსოვს, ქალაქში როგორ გამოჩნდა პირველი ყავარჯნიანი. ქალაქი დუმდა და ამ სიჩუმეში, ჩაქუჩის დარტყმასავით, წყვილი ყავარჯნის კაკუნი ისმოდა.

მახსოვს, ერთ ზაფხულს, ერევანში, მამიდასთან როგორ წავედით. პირველად ვნახე ნამდვილი, ცოცხალი გერმანელები. ისინი ფაშისტები არ იყვნენ, ისინი უბრალოდ გერმანელები იყვნენ, გაცვეთილი ფორმით, სამხრეების გარეშე, ქერა თმებითა და ნაღვლიანი თვალებით. მეზობლის ბიჭთან, მიშიკთან ერთად, აივნიდან გაზეთებს ვუყრიდით და სანაცვლოდ, ხის სათამაშოებს ვიღებდით. ერთი სათამაშო ჯარისკაცის გამო, კარგა ხანს ვიჩხუბეთ. მიშიკი ჩემზე ძლიერი იყო და წამართვა. რამდენიმე დღის მერე, მიშიკის მამის დაღუპვის ამბავი მოვიდა. მიშიკის დედა ტიროდა, მამიდაჩემი ტიროდა, მიშიკი ტიროდა, მეც ვტიროდი.

შემდეგ, სათამაშო ჯარისკაცს ფეხით შევდექით, დავამსხვრიეთ და აივნიდან გაზეთი მეტად აღარ ჩაგვიყრია...

ყველაფერი ეს, მამაჩემის სატელეფონო ზარმა გამახსენა. დამირეკა და ცოტა მონატრებით, ცოტაც გაბრაზებით მითხრა:

– ბიჭო, ნოეს ყვავი ხომ არ ხარ? რატომ არ მოდიხარ? დაოჯახდი, კარგი ქენი, მაგრამ მამისეულ სახლს მოვლა უნდა, მიწას – დამუშავება. არ იცი, რომ გაზაფხული მოვიდა?

– ვიცი, – ვუთხარი, – ერევანშიც გამწვანდნენ ხეები.

– ამ წელს კარგი მოსავალი იქნება, – განაგრძო მამამ, – ყარყატები დაბრუნდნენ.

– რა ყარყატები? – გავიკვირვე მე.

– ყარყატები, რა... არ გახსოვს?

და მე გამახსენდა.

გამახსენდა წლების განმავლობაში, უპატრონოდ დარჩენილი ბუდე, რომელსაც მსუბუქი ქარი, ყოველ დაბერვაზე, ღეროებს სტაცებდა. ყოველთვის მეგონა, რომ ომს ჩვენს პატარა ქალაქში მხოლოდ ერთი ჭურვი ჩამოეგდო და ისიც ყარყატების ბუდეს დასცემოდა.

– არ გახსოვს?

– მახსოვს. მოვალ.

ხვალ შაბათია და წავალ. წავალ, რომ ყარყატები ვნახო. წავალ, რომ ხეებიდან ფისი ავაძრო, წავალ, რომ გაზაფხული ვიგრძნო.

საინტერესოა, მიშიკი სად არის ახლა?

სომხურიდან თარგმნა გელა გელაშვილმა

რუბენ ჰოვსეფიანი – ცნობილი სომეხი მწერალი, პროზაიკოსი, დრამატურგი და მთარგმნელი

ბროწეულები

პაპაჩემი ნეტარებაში იყო, მოხუცებულობის პენსია თვალის დახამხამებაში დაეხარჯა – ბაზარში ერთი კილო თუთუნი, ერთი ხელი საცვალი, მოთალი ყველი და პური ეყიდა, არაყი დაელია და ახლა ის არაყი აქანავებდა. ჭრიალა ტახტზე მჯდარი, შარვლის ღილებსა და ფეხსაცმლის თასმებს ზანტად იხსნიდა, ცხვირში რაღაც სიმღერას ღიღინებდა, რომელიც არც ნაღვლიანი იყო და არც მხიარული, ის თან ნაღვლიანი იყო და თან მხიარული – მზრუნველად შემონახული მოგონება კინტოების დროინდელი თბილისიდან, სადაც პაპას თავისი ახალგაზრდობა სწორედ ისე გაეფლანგა, როგორც აი, ეს მოხუცებულობის პენსია – ჩვენს ნახევარქალაქის ბაზარში.

– ნუ მღერი, პაპა, – წამოვიძახე მე.

– რატომ, აი, შე ძაღლის ძუძუნაწოვო?

– ნუ მღერი, – ვუთხარი, – მეტირება.

მეტირებოდა იმიტომ კი არა, რომ სიმღერა იყო ამატირებელი, არა, ეს ერთი ჩვეულებრივი, არც ნაღვლიანი და არც მხიარული, ეს თან ნაღვლიანი და თან მხიარული სიმღერა იყო, რომელსაც კინტოები ვაშლის გაყიდვისას მღეროდნენ – „დული იაბლოკი, დული იაბლოკი“... მეტირებოდა იმიტომ, რომ პაპამ – მამაჩემის მამამ, რომლის ერთადერთი შვილიშვილი მე ვიყავი, რომლის თქმითაც, ჩვენი ოჯახის ერთადერთი იმედი მე ვიყავი, მოხუცებულობის პენსია ბოლო კაპიკამდე ისე გამოხარჯა, რომ არც კი გავხსენებივარ. მას შეეძლო, რომ არყის ფულით სახლში, მხოლოდ ხუთი-ექვსი, დიდი ბროწეული მოეტანა და ამდენიც კი საკმარისი იქნებოდა, რომ ახლა არ ამტირებოდა.

იცით? მე ზღაპრებს ვთხზავ ანუ არათუ ვთხზავ, არამედ, ვყვები და მე არ მარტო ვყვები, არამედ, ჩემივე შეთხზულ და მოყოლილ ზღაპრებს ვხედავ. ამ ზღაპრებში ბროწეული ყოველთვის არის. ბროწეული მარტო ხილი როდია. ბროწეული ზღაპარია. ბროწეულის მრავალწახნაგა მარცვლები, ეს მბრწყინავი, წითელი მარცვლები ბრილიანტებია, იაგუნდებია, ხოლო ბრილიანტი და იაგუნდი სად გვხვდება? – ზღაპარში.

უკვე მერამდენე დღეა, ხილის მაღაზიაში შევდივარ და ბროწეულის გროვას ვუყურებ. ფიქრში ყველა მათგანს ქერქს ვაცლი და ბროწეულის მარცვლებისგან, სამაჯურსა და ყელსაბამს ვაბნევ...

დღეს გამყიდველმა, ალბათ, მადა რომ აღძვროდა, ერთი დიდი ბროწეული გაჭრა და წვენმა, სისხლის მსგავსად, დახლზე იწვეთა. წითელი წვეთები ისე ბრწყინავდნენ, ისე მიხმობდნენ, ვერ მოვითმინე, თითი უჩუმრად გავაპარე, რომ შემდეგ პირისკენ წამეღო, მაგრამ წვეთები ყინულად ქცეულიყვნენ.

– გეტირება და იტირე, – მითხრა პაპაჩემა, – როცა კაცს ეტირება, უნდა იტიროს. თუ ჭამა სურს, უნდა ჭამოს, თუ დალევა – უნდა დალიოს...

ახლა ის შიშველი იყო, ახალი საცვლისა და პერანგის ჩაცმას ცდილობდა, რომელიც თუთუნთან, მოთალ ყველთან და პურთან ერთად, ბაზრიდან მოეტანა. შეძრწუნებულმა გავიფიქრე, რომ საცვალი და პერანგი, ალბათ, სხვას ეკუთვნოდა, რომელიც ახლა აღარ არის, გარდაცვლილია, სხვა შემთხვევაში, ბაზარში რატომ უნდა გაეყიდათ? წარმოვიდგინე, რომ ის გარდაცვლილი იმ ღამეს ან მომდევნო დღეს, პაპაჩემს გამოეცხადებოდა და თავის თეთრეულს მოსთხოვდა. რა პასუხს გასცემდა? და პაპაჩემი შემეცოდა. ვაპატიე პაპაჩემს, მაგრამ მაინც მეტირებოდა, რადგან ჩემი გადატანილი ყველა სევდა მახსენდებოდა. გამახსენდა დედაჩემი, რომელიც უცაბედად გაუჩინარდა. გამახსენდა მისი გაუჩინარების საღამო, როდესაც სახლში მხოლოდ მე და მამა ვიყავით. ერთმანეთს ხმას არ ვცემდით, ერთმანეთს არ ვუყურებდით. ჩაის ჭიქაში შაქარს პატარა კოვზით ვურევდი. დიდხანს ვურევდი. კოვზი ჭიქის კედლებს ხვდებოდა... მამაჩემი კი მელოდებოდა, როდის დავამთავრებდი თამაშს. მასაც უნდოდა ჩაისთვის მოერია. შაქარი უკვე დამდნარიყო და გახსნილიყო, მაგრამ მე მაინც ვაგრძელებდი მორევას, ჭიქას ვაწკარუნებდი და მის ხმას ვუსმენდი.

და მამაჩემმა, იძულებულმა მითხრა:

– კოვზს არ მომცემ?

– არა.

– კარგი, – მითხრა მამამ და ჩაი მოურევლად დალია.

მე მას სახეში შევხედე, არ ვიცი, რა დავინახე, მაგრამ მახსოვს, რომ ავტირდი.

– ადამიანმა ჩიტივით უნდა იცხოვროს, – თქვა პაპაჩემმა, – ჭამა გინდა – ჭამე, დალევა გინდა – დალიე, სიმღერა გინდა – იმღერე...

კარი დაუკაკუნებლად გაიღო და შიგნით მკლავებაკაპიწებული მეზობლის ქალი, ქვრივი ვათენი შემოვიდა. მას ოხშივარი ასდიოდა და საპნის სუნს სტოვებდა, გამახსენდა, რომ უნდა მებანავა.

– აბა ჩქარა, აბა ჩქარა, – წყალი გაცივდება, წელი მთავრდება. ახალ წელს დაუბანელი ხომ არ შეხვდები, შვილო. მთელი წელიწადი ჭუჭყიანი დარჩები. აბა ჩქარა, აბა ჩქარა.

მან ტანსაცმელი თავად გამხადა, ხელი მომხვია, წამიყვანა და ტაშტში ჩამსვა. ხმელ-ხმელი თითებით მკლავებს, მხრებსა და კისერს მისრესდა, მეჩვენებოდა, რომ ტყავს მაძრობდა და თავზე ადუღებულ წყალს მასხამდა, მე ვითომ ტკივილისა და ვითომ ცხელი წყლის გამო, ვტიროდი.

ხოლო, როცა უკვე სახლში დაბანილი, გამშრალებული და ჩაცმული ღუმელთან თბილად ვიჯექი, როცა გვარიანად ნამტირალ-დაწყნარებული, ღუმელის კარიდან ძაღლის ენასავით გარეთ გადმოგდებულ ალს ვუცქერდი, ერთი ზღაპარი ვიხილე, რომელიც აქამდე, არასდროს მენახა. ჩვენს სადგურზე მატარებელი ჩამოდგა და ამ მწვანე მატარებლიდან თოვლის პაპა ჩამოვიდა. მას ხელში არც ტომარა ჰქონდა და არც ტოპრაკი. ასე ცარიელი ხელებით მომიახლოვდა და თავზე ხელი გადამისვა. შემდეგ ჯიბიდან ერთი ბროწეული ამოიღო, შემდეგ მეორე, მესამე, მეოთხე და სადგურის ზარმაც ჩამოჰკრა, თოვლის პაპამ თავზე ხელი კვლავ გადამისვა და გაიქცა – დაძრულ მატარებელს რომ დასწეოდა.

ისე ნათლად ვნახე ეს ზღაპარი, რომ ბოლოს გავვოცდი კიდეც, როცა ბროწეულები გაქრა. შვიდჯერ ვნახე იგივე ზღაპარი და ჯერ კიდევ ვნახავდი, მამაჩემი რომ არ მოსულიყო. მამაჩემს ხელში არც ტომარა ჰქონდა და არც ტოპრაკი. ასე ცარიელი ხელებით მომიახლოვდა და თავზე ხელი გადამისვა. სუნთქვაშეკრული ველოდებოდი, ზღაპრის გაგრძელებას ველოდებოდი, მაგრამ მამაჩემს ჯიბეებიდან არაფერი ამოუღია, არც ბროწეული, არც ვაშლი, არც კამფეტი, არაფერი...

და მე გავიფიქრე, რომ ამ ქვეყანაზე არავის, არავის არ უნდა, რომ ზღაპარი სინამდვილედ აქციოს. განა, რა ძნელი იყო, ჯიბიდან ოთხი ბროწეულის ამოღება...

– მე სადგურში მივდივარ, – ვთქვი და პალტოს ჩაცმა დავიწყე.

– ასე გვიან? – მკითხა მამაჩემმა.

– ხო, ასე გვიან.

– კარგი, – თქვა მამაჩემმა, – წადი.

ისევ კოვზის ისტორია გამახსენდა. რატომ არ მეუხეშება ეს ადამიანი? რატომ არ მიყვირის? რატომ არ მიკრძალავს? რომ ეუხეშა, რომ ეყვირა, რომ აეკრძალა, მე ვეტყოდი, რომ მივდივარ, გშორდები იმიტომ, რომ ერთი ბროწეული, განა, რა არის, რომ ამ ახალი წლის ღამეს არ მომიტანე? მაგრამ ის არ მეუხეშება, არ მიყვირის, არ მიკრძალავს, მეუბნება – „კარგი“ და მე უფრო ვღონდები.

მამაჩემიც გამომყვა. რომელიღაც გაყინულმა ძაღლმა დაგვიყმუვლა, მაგრამ ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ. თოვლი გვათოვს, მაგრამ ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ. სადგურში მივდივართ, სადაც სულ მალე, ღამის მატარებელი ჩამოდგება. მე ფიქრში, ჩემივე შეთხზული და ნანახი ზღაპრების ყველა ჯადოქარს დასახმარებლად მოვუხმობ: მხოლოდ ერთხელ, გთხოვთ, მხოლოდ ერთხელ მაინც, ზღაპარი სინამდვილედ აქციეთ. თქვენგან არც ნაძვის ხე მინდა, არც ციგა, არც სასახლე და არც ცხენი, გთხოვთ, რომ დღეს, სწორედ ამ ღამის მატარებლიდან თოვლის პაპა ჩამოვიდეს და ოთხი ბროწეული მაჩუქოს, ოთხი ბროწეული, ოთხი ბროწეული...

ხილის მაღაზიასთან გულგრილად ჩავლა ვერ შევძელი. ბროწეულების გროვა განახევრებულიყო. ვიტრინის შუშა სახელოთი გავწმინდე, რომ კარგად დამენახა, მაგრამ შუშა შიგნიდან დაორთქლილიყო.

– ბროწეული მომჟავოა, არა, მამა? – ვკითხე მე.

– მომჟავოა.

– კბილები მიკაწკაწებს, ისე მინდა ბროწეული, – ვუთხარი მე და ფიქრებში ისევ ჯადოქრებს ვთხოვდი: ერთხელ, თუნდაც ერთხელ მაინც, რომ ზღაპარი, ზღაპარი არ ყოფილიყო.

ბაქანზე წითელი ქუდით სადგურის უფროსი და რამდენიმე რკინიგზელი იდგა. სადგურის უფროსის ფანრის შუქი ჰაერში იყინებოდა და ამ შუქში თოვლის ფანტელები უფრო ბევრი, უფრო დიდი და უფრო გამჭირვალე მოჩანდნენ. შემდეგ ფანრის შუქი გამქრქალდა, რადგან გველეშაპის თვალების მსგავსი პროჟექტორებიანი მატარებელი გვიახლოვდებოდა.

ვაგონების ფანჯრებზე მიკრულმა სანთლისფერმა სახეებმა გვერდით ჩაგვიარა, აბაჟურებმა, ფარდებმა, ნახშირის, მაზუთისა და ზეთის სუნმაც გვერდით ჩაგვიარა და შემდეგ მატარებელი ჩამოდგა.

მატარებლიდან ვიღაც ჩამოვიდა, მაგრამ ის თოვლის პაპა არ იყო და როგორც მივხვდი, ის ვიღაც სადგურის უფროსს თითს უქნევდა.

მივუახლოვდით. კაცი ყვიროდა:

– გაწმინდე, დაუყოვნებლივ გაწმინდე.

– გასაგებია, – თავს უქნევდა სადგურის უფროსი.

– მორიგეობა უნდა დააწესო, ეს რა ბარბაროსობაა?

– გასაგებია, – თავს უქნევდა სადგურის უფროსი უკვე მიმავალ მატარებელს.

მე სახლში მარტო დავბრუნდი, რადგან მამაჩემი დასთანხმდა, რომ ძეგლი გადაეთოვლა, დილამდე – ჯერ, სანამ თოვლი მოდიოდა.

– გადაგიხდით, – დაჰპირდა სადგურის უფროსი.

სახლში რომ დავბრუნდი, პაპაჩემი ახალ წელს აღარ დალოდებოდა და უკვე ეძინა. მეც ლოგინში დავწექი და გადავწყვიტე, რომ ამის მერე არასდროს, არასდროს აღარ შემეთხზა, აღარ მენახა ზღაპრები და მგონი, იმ ღამეს, ზღაპრის უნახავად, პიველად დავიძინე.

დილით, ბალიშის ქვეშ, ოთხი ბროწეული დამხვდა.

დილით პაპაჩემი ღუმელზე აგურს აცხელებდა, რომ ორ საბანში გახვეული, აკანკალებული მამაჩემისთვის ფეხქვეშ დაედო.

და მე მივხვდი, რომ ამ ქვეყანაზე ყველაზე, ყველაზე ძნელი რამ, ზღაპრის სინამდვილედ ქცევა ყოფილა...

სომხურიდან თარგმნა გელა გელაშვილმა

ჟერარ დეპარდიეს კრიმინალური დოსიე

როგორც AFP-ისთვის გახდა ცნობილი, საფრანგეთის სასამართლო სისტემამ გაუპატიურებისა და სექსუალური შევიწროებისთვის, მსახიობ ჟერარ დეპარდიეს ბრალი ოფიციალურად წაუყენა. მსახიობს ბრალდება გასული წლის 16 დეკემბერს გადასცეს და ამის მიზეზი 22 წლის მსახიობის განცხადებაა, რომელიც ირწმუნება, რომ 2018 წლის ზაფხულში, დეპარდიეს მსხვერპლი გახდა. გოგონამ პოლიციას განუცხადა, რომ მის მიმართ ძალადობა პარიზში, საკუთარ სახლში, ორჯერ განხორციელდა. ჯერჯერობით, დეპარდიე თავისუფალია, მაგრამ სასამართლო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.



დაზარალებულის თქმით, გაუპატიურების პირველი შემთხვევა 2018 წლის 7 აგვისტოს მოხდა, მეორე კი – 13 აგვისტოს. მსახიობის სახელი არ ხმაურდება, მაგრამ გამოძიებასთან ახლოს მყოფი წყარო ირწმუნება, რომ გოგონა და დეპარდიე, ერთმანეთს საკმაოდ კარგად იცნობდნენ: ჟერარი დაეხმარა მას კინოკარიერის წამოწყებაში.

ზოგიერთი ცნობით, ამ ორ საღამოს, დეპარდიემ გოგონა მიიწვია სპექტაკლის რეპეტიციაზე, საკუთარ სახლში. მსხვერპლის განცხადებით, „ვარსკვლავის ქცევაში არაფერი იყო პროფესიული“.

დეპარდიეს ადვოკატი, ელოდიე ტაიონ-იბონი იმედს გამოთქვამს, რომ პრესა პატივს სცემს მისი კლიენტის პირად ცხოვრებას.

დეპარდიესათვის ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც კანონთან პრობლემები აქვს.

ჟერარ დეპარდიე თავისი გამომწვევი საქციელითაა ცნობილი და დებოშირის რეპუტაციით სარგებლობს. 2012 წელს, მას ბრალი წაუყენეს ქუჩაში, ავტომფლობელის ცემასა და შეურაცყოფაში მას შემდეგ, რაც პარიზის ქუჩაზე მომხდარი კონფლიქტის დროს, მანქანის სხვა მფლობელს სახეში ჩაარტყა.

ერთი წლის შემდეგ, ის ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როდესაც პარიზში, სკუტერიდან ჩამოვარდა. არ გამოცხადდა ამ საქმის განხილვაზე და ჩამოერთვა მართვის მოწმობა ექვსი თვის ვადით.

2020 წელს, ნასვამ მდგომარეობაში სკუტერის მართვისთვის, კვლავ დააკავეს. ასევე, 2011 წელს, დეპარდიეს ბოდიშის მოხდა მოუწია მას შემდეგ, რაც თვითმფრინავში, პარიზი-დუბლინის რეისის სხვა მგზავრების თვალწინ, პლასტმასის ბოთლში მოფსა, ხოლო 2014 წელს, მას ბრალი დასდეს, რომ გამვლელებს წყლის ასხამდა თავისი იტალიური ბინის ფანჯრიდან.

73 წლის დეპარდიე, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მსახიობია, ის გადაღებულია მრავალ ფილმში. მას შეუძლია, ეკრანზე, დათვისებრი სხეულის სიტლანქე, შეათავსოს ემოციურ სინაზესთან. დაახლოებით, 170 ფილმში მიიღო მონაწილეობა და დიდ წარმატებას მიაღწია.

დეპარდიემ სამსახიობო კარიერა 18 წლის ასაკში, დამოუკიდებელ თეატრალურ დასში, კაფე დე ლა გარ-ში დაიწყო. პირველი პოპულარობა მოუტანა როლმა, ბერტრან ბლიერის პროვოკაციულ დრამაში „ვალსი“. მალე, ის უკვე მონაწილეობდა ისეთი დიდი რეჟისორების ფილმებში, როგორებიც იყვნენ ბერნარდო ბერტოლუჩი („მეოცე საუკუნე“), ფრანსუა ტრიუფო („უკანასკნელი მეტრო“), მარკო ფერერი („უკანასკნელი ქალი“, „მშვიდობით, მამრო!“) და ალენ რენეს („ჩემი ამერიკელი ბიძა“).

დეპარდიე, ასევე, მონაწილეობდა ფილმებში: „სირანო დე ბერჟერაკი“, „პოლიცია“, „დანტონი“, „1492: სამოთხის დაპყრობა“, „კაცი რკინის ნიღაბში“. მას ორჯერ მიენიჭა პრიზი „სეზარ“-ი, გახდა ოქროს გლობუსისა და სხვა პრიზების გამარჯვებული კანისა და ვენეციის ფესტივალებზე, ასევე, ნომინირებული იყო ოსკარზე.

* * *

ჟერარ დეპარდიემ, რუსეთის მოქალაქეობის მიღების სურვილი 2012 წელს გამოთქვა, როდესაც საფრანგეთის მთავრობის გეგმების გამო აღშფოთდა – მსახიობმა ხელისუფლების გადაწყვეტილება გააპროტესტა, რომლითაც ე.წ. მდიდრების გადასახადი დაწესდა.

2013 წელს, პუტინმა პირადად გადასცა რუსული პასპორტი და ბინადრობის ნებართვა სარანსკში. მალე, ჩეჩნეთის ხელმძღვანელმა, რამზან კადიროვმა გამოაცხადა, რომ იგი დეპარდიეს აძლევდა ხუთ-ოთახიან ბინას გროზნოში. მსახიობი დარეგისტრირდა რუსეთში, როგორც ინდივიდუალური მეწარმე და დაიწყო რამდენიმე ბიზნესპროექტი კვების მრეწველობაში.

ამასთან, 2015 წელს, ცნობილი გახდა, რომ დეპარდიე, მუდმივად ბელგიაში ცხოვრობდა. სამი წლის შემდეგ, ის საფრანგეთში დაბრუნდა, სადაც იმ დროისთვის, მთავრობამ გააუქმა 75%-იანი გადასახადი მდიდრებისთვის.

ამავდროულად, რუსეთში, რამდენიმე წლის განმავლობაში ცდილობდნენ მისგან საგადასახადო დავალიანების მიღებას, მაგრამ სარანსკის მანდატურები ამას ვერ ახერხებდნენ მოვალის იმ ქონების არარსებობის გამო, რომლის დაყადაღებაც შეიძლება.

* * *

მსახიობის ადვოკატმა, ელოდიე ტაიონ-ჰიბონმა, AFP-ის განუცხადა, რომ ბატონი დეპარდიე არ თანხმება სარჩელს და გამოძიების ფაქტი არ უნდა განსაჯაროებულიყო. იგი იმედოვნებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის პირადი სივრცე დაცული იქნება.

სამსახურის საშოვნელად, გარეგნობა შეიცვალა

26 წლის ვიეტნამელი მამაკაცი ირწმუნება, რომ საკუთარი გარეგნობა პლასტიკური ქირურგიის საშუალებით, რადიკალურად მას შემდეგ შეიცვალა, რაც გასაუბრებებზე, მხოლოდ დაცინვისა და ბულინგის მსხვერპლი იყო. სოციალურ ქსელში, ახალგაზრდამ ფოტოები გამოაქვეყნა და ყველა შოკში ჩააგდო, იმდენად დიდი აღმოჩნდა განსხვავება „ძველსა“ და „ახალს“ შორის.

მამაკაცი ამბობს, რომ ამ განსხვავების მისაღწევად, მას ცხრა პლასტიკური ოპერაციის გაკეთება დასჭირდა, რაც 17 400 დოლარი დაუჯდა. ის ამჟამად, საიგონში, ვიზაჟისტად მუშაობს, თუმცა მანამდე, სამსახურს ვერ შოულობდა. გასაუბრებებზე მისულს, გარეგნობის გამო, დასცინოდნენ. ოპერაციის შემდეგ, სახლში დაბრუნებული, მშობლებმაც კი ვერ იცნეს. ახალგაზრდა ვიეტნამელი გარდასახვით კმაყოფილია და ამბობს, რომ მისთვის ეს აუცილებელი იყო, რათა თავი ძლიერად და თავდაჯერებულად ეგრძნო.

მთვარეზე გასაფრენად თანამგზავრებს ეძებს

იაპონელი მილიარდერი, იუსაკუ მაეძავა მთვარეზე, მასთან ერთად წამსვლელებს ეძებს. BBC-ის ინფორმაციით, ბიზნესმენი რვა ადამიანს იწვევს, რომლებიც 2023 წელს, ილონ მასკის რაკეტა SpaceX-ით, მასთან ერთად, დედამიწის თანამგზავრისკენ გაფრინდებიან. რვავე სტუმრის მგზავრობის ხარჯს მილიარდერი დაფარავს.

„დიდი სურვილი მაქვს, რომ სხვადასხვა ისტორიის მქონე ადამიანები შემომიერთდნენ. ყველა ადგილი ვიყიდე, ამიტომ ეს კერძო მგზავრობა იქნება“, – დაწერა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე იაპონელმა.

მთვარეზე მოხვედრის მსურველებმა, მხოლოდ ორი კრიტერიუმი უნდა დააკმაყოფილონ: უნდა ახსნან, როგორ დაეხმარებათ მთვარეზე მოგზაურობა საზოგადოებისთვის რაიმე ღირებულის გაკეთებაში და მეორე – მზად უნდა იყვნენ გუნდური მუშაობისა და ეკიპაჟის წევრების მხარდასაჭერად.

სახლში მუშაობისთვის, ცოლს ფულს გადაუხდის

პეკინის სასამართლომ, რომელიც განქორწინების პროცესს განიხილავდა, დაადგინა, რომ მამაკაცმა ყოფილ ცოლს, ხუთი წლის განმავლობაში, 7.7 ათასი დოლარი უნდა გადაუხადოს სახლში შესრულებული სამუშაოებისთვის. ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, რომელიც წლის დასაწყისში შევიდა ძალაში, ქვეყნის მცხოვრებლებს შეუძლიათ, ყოფილი პარტნიორებისგან კომპენსაცია მოითხოვონ, თუკი ზრუნავდნენ ბავშვებსა და მოხუც ახლობლებზე, ანდა აუნაზღაურებელ სახლის სამუშაოებს ასრულებდნენ.

ყოფილი ცოლი აცხადებს, რომ ბავშვს მარტო უვლიდა, რადგან ქმარი სამსახურში იყო და სახლის საქმეებშიც არასდროს ეხმარებოდა. სასამართლომ ბავში დედასთან დატოვა და გარდა კომპენსაციისა, ყოფილი ქმარი, 310 დოლარის ოდენობით, ყოველთვიურ ალიმენტსაც გადაიხდის. სასამართლოს გადაწყვეტილებამ სოციალურ ქსელებში უკმაყოფილება გამოიწვია. მომხმარებლები ამბობენ, რომ დიასახლისის შრომა სათანადოდ არ არის შეფასებული – ოჯახზე ზრუნვის გამო, ის კარგავს კარიერული ზრდის შესაძლებლობას, თანაც სახლის საქმეებიც არანაკლებ დამღლელი და რთულია, ვიდრე ოფისში მუშაობა.

ჩვილის სიცოცხლე 3D-გულმა იხსნა

14 თვის პატარას, რონალდ ლიანიუს ქირურგებმა მეორე სიცოცხლე აჩუქეს, მისი სხეულის მთავარი ორგანო კი სამგანზომილებიანმა მოდელმა შეცვალა. 3D-გულის წყალობით, რომელიც აშშ-ს ლუისვილის უნივერსიტეტის ინჟინრებმა შექმნეს, ექიმებმა პატარა ბავშვს გულის გადანერგვის ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს. ქირურგიული ჩარევის გარეშე, შეიძლება, ჩვილი დაღუპულიყო, რადგან ორგანიზმის „ძრავას“ რამდენიმე დაავადება განუვითარდა.

მედიკოსები რთული ამოცანის წინაშე დადგნენ: პატარა პაციენტისთვის სიცოცხლე რომ შეენარჩუნებინათ, მეტად რთული ქირურგიული ჩარევა იყო საჭირო. მათ ინჟინერ-მედიკოსები დაეხმარნენ, რომელთაც ჩვილის ტომოგრაფიის გათვალისწინებით, 3D-გული შექმნეს. კარდიოქირურგმა, რომელიც ოპერაციას ატარებდა, აორტის სარქველისა და კუჭის შესაერთებლად, უნიკალური მეთოდი მოიფიქრა და ყველა პრობლემა, ერთი ოპერაციის შედეგად, წარმატებულად მოაგვარა. ახლა, პატარა რონალდი თავს კარგად გრძნობს და როგორც ექიმები ამტკიცებენ, მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

ბრილიანტების პატრონს ეძებენ

იტალიაში, ქალაქ ნეაპოლის ერთ-ერთმა სუპერმარკეტმა ძებნა გამოაცხადა ბრილიანტების პაკეტის მფლობელზე, რომელიც მან სავაჭრო დაწესებულებაში დაკარგა. ჯერჯერობით, ძვირფასი თვლების პატრონს მაღაზიისთვის არ მიუკითხავს. მომენტი, როცა მამაკაცს ეს განძი ჯიბიდან ამოუვარდა, ვიდეოკამერამ დააფიქსირა. მას ეს არ შეუმჩნევია, სალაროსთან ფული გადაიხადა და გავიდა სუპერმარკეტიდან. იატაკზე, პაკეტი სამი ბრილიანტით, ერთ-ერთმა თანამშრომელმა აღმოაჩინა. მათი ღირებულება, დაახლოებით, 50 ათასი ევროა.

ბენ ლადენი მხატვრობით დაინტერესდა

ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაედას“ დამფუძნებლის, უსამა ბენ-ლადენის შვილი, ომარი, ფერწერამ გაიტაცა. ბოლო წლის განმავლობაში, ბენ-ლადენმა ათზე მეტი ტილო შექმნა. ბევრი მისი ნამუშევარი ამერიკული დასავლეთის ბუნებას ეძღვნება. ომარი გატაცებულია ძველი ვესტერნებით, მოსწონს კოვბოები და ძალიან უყვარს ამერიკელი მსახიობი, კლინტ ისტვუდი.

ბენ-ლადენის ვაჟი სურათებს პრიმიტივიზმის სტილში, ექსპრესიონიზმის ელემენტების გამოყენებით ხატავს. როგორც თავად ამბობს, ხატვის სიყვარული მას დედისა და ბიძისგან გადაეცა, რომელიც ნიჭიერი მხატვარი იყო. ხელოვნება ომარს ბავშვობისდროინდელი ტრავმის დაძლევაში ეხმარება, რომელიც მამის სასტიკმა მოპყრობამ მიაყენა. 15 წლის ბიჭი უსამამ „ალ-ქაიდას“ ბანაკში გაგზავნა. სამი წლის შემდეგ კი ომარი გამოვიდა ტერორისტული ორგანიზაციიდან. მან დაგმო 11 სექტემბრის მოვლენები და მამისგან დისტანცირებას ცდილობდა.

უსამა ბენ-ლადენს, სხვადასხვა ცნობებით, 20-დან 26-მდე შვილი ჰყავდა. ბევრი მათგანი, 2001 წლის ტერორისტული აქტის შემდეგ, ირანში გადავიდა. ომარ ბენ-ლადენი, მეუღლესთან ერთად, ნორმანდიაში ცხოვრობს.

კოსმოსურ სასტუმროს გახსნიან

ამერიკული კომპანია Orbital Assembly Corporation, 2025 წელს, სადგურ Voyager-ის მშენებლობას დაიწყებს, რომელზეც მსოფლიოში პირველი კოსმოსური სასტუმრო განთავსდება. კომპანიის პროგნოზების მიხედვით, სასტუმრო ტურისტების მისაღებად უკვე 2017 წელს იქნება მზად. სადგურს დედამიწასთან ახლოს, დაბალ ორბიტაზე განათავსებენ. მასზე ორი რგოლი იქნება: შიდა იმუშავებს, როგორც შემაკავშირებელი კვანძი, გარეთაზე კი საცხოვრებელი მოდულები, მზის პანელები, რადიატორები და სატრანსპორტო სისტემა განთავსდება.

კოსმოსურ სასტუმროს 400 სტუმრის მიღება შეეძლება. გარდა ცალკეული ნომრებისა, იქნება ბარები, რესტორნები და სავარჯიშო დარბაზიც კი. კომპანია აქტიურად ეძებს ინვესტორებს სადგურის მშენებლობისთვის. ამჟამად, ერთი მილიონი დოლარის მოგროვება უკვე შეძლეს.

ენობრივ ბარიერს მაისურით გადალახავთ

სამმა შვეიცარიელმა მათთვის, რომლებმაც უცხო ენები არ იციან, მოგზაურობისას, ადამიანებთან ურთიერთობის ახალი მეთოდი მოიფიქრა. ყოფა-ცხოვრებაში აუცილებელი, თითქმის ყველა ნივთი გამოსახულია მაისურზე, რომელსაც ბრენდი Iconspeak უშვებს. როდესაც ამ მაისურის მფლობელს რამე დასჭირდება და მოსაუბრეს სიტყვით ვერ გააგებინებს, შეუძლია, უბრალოდ, მკერდზე განთავსებულ სურათზე მიუთითოს.

პრინტში 40 პიქტოგრამა შედის, კერძოდ, ტუალეტის, მატარებლის, ლუდის კათხის, Wi-Fi-ს, მთების, წვიმის, წიგნის, ცის გამოსახულება. ბრენდი მაისურის სეზონურ მოდელებს უშვებს – სახელოებით, მოკლე სახელოებით, და უსახელოსაც. ამ ენობრივი ბარიერის გადამლახავი მაისურის შექმნის იდეა, მის ავტორებს, აზიაში მოგზაურობის დროს გაუჩნდათ.

კორონავირუსზე საშიში სუპერბაქტერიებია



მსოფლიოში სულ უფრო იზრდება სიკვდილიანობა ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი ბაქტერიული ინფექციების გამო. სუპერბაქტერიები, რომლებიც რეზისტენტული არიან ანტიბიოტიკების მიმართ, გაცილებით საშიშია კორონავირუსზე, – აცხადებენ ბრიტანელი სწავლულები. მედიკოსები აღნიშნავენ, რომ აშშ-ში, ყოველწლიურად, 2.8 მილიონ ადამიანს უსვამენ ანტიბიოტიკორეზისტენტული ინფექციების დიაგნოზს, მათგან 35 ათასი კი იღუპება.

დიდ ბრიტანეთში, 2018 წელს, ასეთივე დიაგნოზით 3 ათასამდე ადამიანი გარდაიცვალა, დაავადდა 600 ათასი. მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, რომ პანდემიის ზრდა გრძელდება და უკვე ახლავე საჭიროა, მოვემზადოთ იმ დროისთვის, როცა ყელის სტრეპტოკოკური ინფექცია, შარდსადენი გზების დაავადებები და კვებითი მოწამვლები განუკურნებელი იქნება. განსაკუთრებულ საფრთხეს ეს ონკოლოგიურ პაციენტებს შეუქმნის, რომელთაც ქიმიოთერაპიის გავლა უწევთ. ამ პროცედურის შემდეგ, ისინი ინფექციებს ვეღარ გაუმკლავდებიან.

მდინარეს იურიდიული პირის სტატუსი მიანიჭეს

კანადის პროვინცია კვებეკში, მდინარე მეგპაის იურიდიული პირის სტატუსი მიანიჭეს. ამგვარად, ხელისუფლება, ეკოლოგები და ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფები, მის დაცვას აპირებენ ენერგეტიკული კომპანიებისგან. ახლა, ამ კანადურ მდინარეს უფლებები აქვს. მაგალითად, მას კანონით, მეურვის ყოლის უფლება ენიჭება. მეურვეები შეიძლება გახდნენ ადამიანები, რომლებიც მდინარის ნაპირზე ცხოვრობენ და ყურადღებას მიაქცევენ მას. მეგპაის იურიდიული პირის სტატუსი მას შემდეგ მიანიჭეს, რაც ჰიდროენერგეტიკულმა კომპანიამ Hydro-Quebec, მასზე დამბის აშენების სურვილი გამოთქვა.

ვენეციია ისევ უწყლოდ დარჩა

ზღვის რეკორდული მიქცევების გამო, ვენეციის არხები დაშრა. წყლის დონემ 48 სანტიმეტრით დაიწია, რის გამოც, არხების უმრავლესობა საერთოდ დაშრა, ზოგი კი წყლის ტრანსპორტისთვის გამოუსადეგარი გახდა. მათ შორისაა, გრანდ კანალეც – ყველაზე დიდი არხი, ვენეციის ლაგუნას კუნძულებს შორის. უსაქმოდ დარჩნენ გონდოლიერებიც, მათი ტრანსპორტი ახლა არხების ნაპირებზე ისვენებს.

დამშრალი არხები იშვიათობაა ვენეციისთვის. ჩვეულებრივ, ის უფრო წყალდიდობის შედეგად ზიანდება ხოლმე. ბოლოს, არხები 2018 წელს დაშრა, ყველაზე მნიშვნელოვანი დატბორვა კი 2019 წლის ნოემბერში მოხდა. რეკორდული ვარდნა 1934 წელს აღინიშნა, მაშინ წყლის დონემ 121 სანტიმეტრით დაიწია.

მილიონნახევარს ლოდის გასალამაზებლად დახარჯავენ

გერმანიის ქალაქ ალტენტრეპტევში, გადაწყვიტეს, ცოტათი ასწიონ გიგანტური გამყინვარებისდროინდელი ლოდი, რათა ის უფრო მიმზიდველი გახადონ ტურისტებისთვის. ეს ლოდი ერთ-ერთი უდიდესია, გერმანიაში, გამყინვარებისდროინდელებს შორის. მისი წონა 360-400 ტონას შეადგენს. ამ ადგილას ის, ალბათ, დაახლოებით, 10 ათასი წლის წინ, ბალტიის ზღვიდან მოხვდა.

ქალაქის ხელისუფლების აზრით, ამჟამად, ლოდი არასაკმარისად „მიმზიდველად“ გამოიყურება, რათა ტურისტულ ღირსშესანიშნაობად ჩაითვალოს. შესაბამისად, გადაწყდა, მიწიდან ორი მეტრით ამოსწიონ. საამისოდ, მათ 240 ათასი ევროს დახარჯვა მოუწევთ. მთლიანობაში, პროექტის ღირებულება, დაახლოებით, 1.5 მილიონი ევროა. თანხის დიდი ნაწილი, ლოდის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობაზე დაიხარჯება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

პატრულ-ინსპექტორებმა ქალ-მძღოლებს 8 მარტი მიულოცეს

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, ქალბატონებს 8 მარტი მიულოცეს და ყვავილების თაიგულები მიართვეს. ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართა.